საერთო გაზეთი

№30 (488) • 22 აგვისტო, 2018წ. • ოთხშაბათი • WWW.SAERTOGAZETI.GE • ფასი 1 ლარი

– პროვოკაციის აყოლა და შენს ტერიტორიაზე შენს მოსახლეობაზე მასიური დაბომბვის დაწყებას რა ჰქვია? – უგუნურება, გიჟი პრეზიდენტის ახირება თუ რაღაც უცნაური და გაუგებარი გარიგება ჩვენს საუკუნოვან მტერთან?

სალომე ზურაბიშვილი

გაყიდული ომი და გაყიდული საქართველო

ვახტანგ ხარჩილავა

სალომე ზურაბიშვილის მიერ 2018 წლის 8 აგვისტოს დასმულ კითხვას ფართოდ და ამომწურავად პასუხობს ერთი წლის წინათ, „საერთო გაზეთში“ გამოქვეყნებული ვრცელი პუბლიკაცია „დიდი ღალატის ანატომია“ („ს.გ.“, №30–31. 2017 წ.), სადაც დაწვრილებით არის აღწერილი, თუ რა საეჭვო ნაბიჯები უძღოდა წინ საქართველოს ხელისუფლების მხრიდან 2008 წლის აგვისტოს ტრაგიკულ მოვლენებს.

გთავაზობთ ფრაგმენტებს წერილიდან:

•

„სააკაშვილი და „ნაცმოძრაობის“ სხვა ლიდერები ხშირად იმეორებენ, რომ 2008 წლის აგვისტოში რუსეთმა პროვოკაციაზე წამოაგო საქართველოს ხელისუფლება და აიძულა ის ომში ჩართულიყო, მაგრამ იმ ნაბიჯებს თუ გავიხსენებთ, რასაც საქართველოს ხელისუფლება ომის დაწყებამდე დაახლოებით წელიწადნახევრის განმავლობაში დგამდა, ჩნდება საფუძვლიანი ეჭვი, რომ ეს პროვოკაცია გაცილებით ადრე დაიგეგმა და მის განხორციელებასა და აღსრულებაში მთავარი როლი სწორედ „ნაცმოძრაობამ“, ანუ საქართველოს ხელისუფლებამ ითამაშა.

მოდით, მივყვეთ მოვლენებს და ვნახოთ, რას ღაღადებენ ფაქტები.

2006 წლის შემოდგომიდან საქართველოს პრეზიდენტი მიხეილ სააკაშვილი ცდილობს კოდორის ხეობას სახელი შეეცვალოს და ეწოდოს ზემო აფხაზეთი, ხოლო ე.წ. სამხრეთ ოსეთს, ასევე ხაზგასმულად, ყოველგვარი ეგრეთ წოდებულის გარეშე, სისტემატურად მოიხსენიებს სამხრეთ ოსეთად, მიუხედავად იმისა, რომ ზვიად გამსახურდიას დროინდელი უზენაესი საბჭოს მიერ სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი უკვე 17 წელია გაუქმებულია და ის, როგორც ადმინისტრაციული ერთეული, ქართულ სახელმწიფოში საერთოდ არ არსებობს.

მიხეილ სააკაშვილმა თითქოს არც იცის ეს ამბავი და წარამარა იმეორებს სახელწოდებას – **სამხრეთ ოსეთი**.

პარალელურად გრძელდება **კოდორის** (დალის ხეობის) ზემო აფხაზეთად მოხსენიება, თუმცა ამ ხეობას საქართველოს ისტორიის არც ერთ მონაკვეთში ზემო აფხაზეთი არ რქმევია.

მიხეილ სააკაშვილი ყოველგვარი ახსნა-განმარტების, ყოველგვარი დასაბუთების და მოტივაციის გარეშე ჯიუტად აგრძელებს სამაჩაბლოს სამხრეთ ოსეთად და კოდორის ხეობის ზემო აფხაზეთად დასახელებას, რითაც მიზანმიმართულად ცდილობს, საზოგადოებას ყური გაუხედნოს ამ ახალი ტერმინებით.

არსებობს უამრავი საარქივო მასალა – მიხეილ სააკაშვილის სატელევიზიო გამოსვლები, ინტერვიუები, სააკაშვილის განცხადებები სამთავრობო სხდომებზე და ასე შემდეგ, რომლებშიც დოკუმენტურად არის ასახული და დაფიქსირებული ის, რაც ზემოთ ვთქვით.

სამწუხაროდ, ამ აშკარად საეჭვო, აშკარად ანტისახელმწიფოებრივი ხასიათის პიარ-კამპანიას არც საზოგადოების მხრიდან მოჰყოლია დიდი პროტესტი და არც პოლიტიკური წრეებიდან.

ცხადი იყო, სააკაშვილს რაღაც სერიოზული ჩანაფიქრი ჰქონდა, მაგრამ არც მას აუხსნია და არც სხვები ჩაძიებიან, რას ემსახურებოდა ეს ჩანაფიქრი, რა იყო ამ ჩანაფიქრის მთავარი დედააზრი და რით იყო ის სასარგებლო და აუცილებელი ქართული სახელმწიფოსთვის?!

2007 წლის 10 მაისის დადგენილებით, რომელსაც ხელს მიხეილ სააკაშვილი აწერს და რომელიც შემდეგ საქართველოს პარლამენტმა დაამტკიცა, შეიქმნა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაცია, სადაც სულ მალე არჩევნები ჩატარდა და ამ ახლად მოვლენილი სამხრეთ ოსეთის პრეზიდენტად, არა ხელმძღვანელად, არა ადმინისტრაციის უფროსად, არამედ, ხაზს ვუსვამ, პრეზიდენტად, არჩეული იქნა დიმიტრი სანაკოევი.

თუმცა დაგვავიწყდა გვეთქვა, რომ სანამ ქართველთმოძულეობაში ეჭვმიტანილი დიმა პრეზიდენტი გახდებოდა, მანამდე, ზემოთნახსენები დადგენილებით, სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციაში შეყვანილი იქნა ახალგორის რაიონიც.

ახალგორთან დაკავშირებით კიდევ ერთ, უაღრესად საინტერესო და საყურადღებო დეტალს გაგახსენებთ.

გასული საუკუნის 90-იან წლებში, როცა საბჭოთა კავშირი ჯერ კიდევ არსებობდა, ხოლო საქართველოს ცეკას მდივანი გივი გუმბარიძე იყო, ეროვნული მოძრაობისა და ახალგორის რაიონის ქართველობის დაჟინებული მოთხოვნით ახალგორი სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქს გამოეყო, ანუ ახალგორი ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის დროს უკვე აღარ შედიოდა სამხრეთ ოსეთის ავტონომიურ ოლქში, რომელიც, როგორც ზემოთ ვთქვით, მოგვიანებით საერთოდ გააუქმა საქართველოს უზენაესმა საბჭომ.

აი, ასეთი ისტორიის მქონე რეგიონი, ახალგორი, თავის ქსნის ხეობიანად, რომელიც მთლიანად ქართველებით იყო დასახლებული, „ნაციონალურმა მოძრაობამ“, საქართველოს პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით და საქართველოს პარლამენტის მხარდაჭერით, აიღო და მათ მიერვე შეკოწიწებული სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციაში წიხლებით შეტენა, პრეზიდენტად კი ათას ავტომატზე გადამხტარი დიმა დაასვა თავზე!

შემთხვევით, არა საბჭოთა კავშირის დროინდელ, არამედ „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლების და მისი ლიდერის სააკაშვილის მიერ „დახატულ“ ახალ რუკას ხომ არ გვიფრიალებენ რუსები ცხვირწინ, სადაც ნათლად და მკვეთრად ჩანს ის საზღვრები, რომლითაც ე.წ. სამხრეთ ოსეთი „ნამდვილ“ და „რეალურ“ სამხრეთ ოსეთად აქცია საქართველოს ხელისუფლებამ.

ერთმა ფრანგმა დიპლომატმა ახალგორის მოსახლეობას ასეთი რამ უთხრა: ევროპა და ევროკავშირი რით და როგორ უნდა დაგეხმარონ, როცა თქვენს ხელისუფლებას დოკუმენტურად, იურიდიული ნორმების სრული დაცვით უღიარებია სამხრეთ ოსეთის არსებობაო?!

ტერმინ სამხრეთ ოსეთის ოფიციალურად დაკანონების პარალელურად იმაზეც იზრუნეს, რომ წილკნის ეპარქია ცხინვალის ეპარქიას გადასცემოდა.

თითქმის იდენტური მეთოდებით იმუშავა ნაცების ხელისუფლებამ კოდორის ხეობასთან მიმართებაში – კოდორის ხეობას სახელი გადაარქვა, მას ზემო აფხაზეთი უწოდა, ადგილობრივი მოსახლეობა კი, რომელიც წლების განმავლობაში გმირულად იცავდა ხეობას, განაიარაღა, რის შემდეგაც 2008 წლის აგვისტოში ამ აუღებელი, სტრატეგიულად ურთულესი ხეობის აღება მტერმა თითქმის უბრძოლველად, ყოველგვარი დანაკარგების გარეშე შეძლეს.

გავრცელებულ ხმებს თუ დავუჯერებთ, კოდორის ხეობის უბრძოლველად გადაცემაში ქართულმა მხარემ დიდი ფული აიღო. სახელდებოდა ციფრი – 50 მილიონი დოლარი, სახელდებოდნენ პირები, რომლებიც ამ ფინანსურ გარიგებაში მონაწილეობდნენ, სახელდებოდნენ შუამავლები და ა. შ. თუმცა ეს ყველაფერი არც მაშინ და არც შემდეგ, სათანადო გამოძიების საგანი არ გამხდარა.

სანამ 2008 წლის აგვისტოს ომი მოხდებოდა, „ნაცმოძრაობის“ ხელისუფლებამ, აბსოლუტურად გაუგებარი და ლოგიკას მოკლებული ქმედებებით, პოზიციები განუმტკიცა არა ქართულ სახელმწიფოს, არამედ აფხაზ და ოს სეპარატისტებს.

იქმნება შთაბეჭდილება, რომ „ნაცმოძრაობა“ სეპარატისტული რეგიონებისთვის წინასწარ ქმნის ისეთ დოკუმენტებს, რომლებიც მათ დამოუკიდებელ სახელმწიფოებად აღიარებას გააადვილებს.

საქართველოს ხელისუფლების თავდადებული მეცადინეობით, სამხრეთ ოსეთი ქაღალდზე უკვე

3 გვ.

გრიგოლ ვაშაძის საიდუმლო

• გრიგოლ ვაშაძის პირველი ცოლი საბჭოთა კავშირის ბანკის ხელმძღვანელის ვლადიმერ ალხიმოვის ქალიშვილი ნატალია ალხიმოვა იყო. ნატალიასგან მას ვაჟი – ნოდარი ჰყავს.

• გრიგოლ ვაშაძეს, რომელსაც მეტსახელად „ტარაკანა“ შეარქვეს, რუსები დღემდე თავის კაცად თვლიან.

• რა ბიზნესებს ფლობს ვაშაძე რუსეთში?

• გრიგოლ ვაშაძეს ფსიქიკური პრობლემები აქვს?



არ არის გამორიცხული „ქართულმა ოცნებამ“ საპრეზიდენტო არჩევნებში თავისი კანდიდატურა წამოაყენოს

გვესაუბრება ექსპერტი კავკასიის საკითხებში მამუკა არეშიძე:

— ბატონო მამუკა, წელს უჩვეულო საპრეზიდენტო არჩევნები გველოდება — პირველად ხდება, რომ მმართველ გუნდს საპრეზიდენტო კანდიდატი არ ჰყავს. რამდენად სწორია ეს და ზოგადად, რა მოლოდინები გაქვთ?

— ეს, დასავლეთთან გარკვეული კონსულტაციების შედეგად მიღებული, გარკვეული მანევრია. იმის თქმა, რომ „ქართული ოცნება“ მხარს არავის უჭერს, სწორი არ იქნება. სალომე ზურაბიშვილს ამ პარტიის მხარდაჭერა ნამდვილად ექნება, მაგრამ მიუხედავად ამისა, ეს მაინც ვერ იქნება სრულყოფილი. ეს ერთი, მეორეც, გულახდილად უნდა ითქვას: სახელისუფლებო გუნდში ერთი პირი არ აქვთ მიუხედავად იმისა, მშვენივრად იციან, რომ მხარი სალომე ზურაბიშვილს უნდა დაუჭირონ. დღეს ასეთი ვითარებაა: ამ გუნდის ზოგიერთი წევრი ხმამაღლა ამბობს, რომ „ქართულმა ოცნებამ“ საკუთარი კანდიდატურა უნდა დააყენოს, სხვაგვარი მიდგომა არასწორიაო, ზოგიც სალომე ზურაბიშვილს უჭერს მხარს. ამ შემთხვევაში „ქართული ოცნების“ ელიტას ვგულისხმობ და არა რიგითი პარტიის წევრებს. ასეთი უცნაური სიტუაციაა. ამ გუნდში არიან ადამიანები რომლებიც თვლიან, რომ სალომეს მხარი უნდა დაუჭირონ. არჩევნები ახლოვდება და მიუხედავად იმისა, რომ ქართული პოლიტიკური ელიტა ჯერ კიდევ ჩამოყალიბების პროცესშია, არ მახსოვს მმართველი ძალა კონკრეტული გადაწყვეტილების გარშემო კონსოლიდირებული არ ყოფილიყოს. „ქართულ ოცნებას“ კონსოლიდირება ძალიან აკლია. ისეთი შთაბეჭდილება მრჩება, რომ არ არის გამორიცხული „ქართულმა ოცნებამ“ ბოლო მომენტში სხვა კანდიდატურა დააყენოს, რადგან ვხედავ შემდეგ პროცესს — პრაქტიკულად, სალომე ზურაბიშვილი მარტოა მიტოვებული.

— როგორც აღნიშნეთ, „ქართული ოცნების“ ნაწილი მხარს უჭერს ზურაბიშვილს, ნაწილი კი — არა. რა გამოდის, არჩევნები ოპოზიციას უნდა შევატოვოთ?

— არ მგონია, არჩევნები ოპოზიციას შეატოვონ, მაგრამ შესაძლოა გვერდზე გადგნენ ან პასიური პოზიცია დაიკავონ. ავიღოთ, თუნდაც მაჟორიტარები, მათი გარკვეული ნაწილი ზურაბიშვილის მომხრეა, მეორე ნაწილი პრინციპულად არ უჭერს მხარს და ნაწილიც ნეიტრალურ პოზიციას იკავებს. აი, ეს არის უბედურება და „ქართული ოცნების“ მთავარი ხინჯი, რომ კონსოლიდირებული გუნდი არ ჰყავთ. მაჟორიტარებზე ძალიან ბევრია დამოკიდებული თუ რა მოხდება კონკრეტულ რეგიონში. თუ კონკრეტული მაჟორიტარი პასიურად მოიქცა, ჩრდილში ჩამოჯდა და თქვა: რაც გინდათ ის ქენითო, წარმოგიდგენიათ რა მოხდება. იმიტომ, რომ რიგ რაიონებში ადგილობრივი პარტიის ხელმძღვანელი მაჟორიტარი დეპუტატის მიერ არის შერჩეული და მასზეა დამოკიდებული. არ ვიცი ამ სიტუაციას რა უშველის.

— თქვენ ახსენეთ, „ქართულმა ოცნებამ“ შესაძლოა საკუთარი კანდიდატიც წარადგინოსო. ვინ წარმოგიდგენიათ ამ ამპლუაში?

— არავინ წარმომიდგენია, აზრზე არ ვარ ვინ შეიძლება ეს იყოს იმიტომ, რომ ისიც კი არ ვიცი „ქართულ ოცნებას“ რა უნდა. ამის პროგნოზი რომ გავაკეთო, უნდა ვიცოდე მას რა უნდა. ჯერ ვერ გავიგე — ქალი უნდათ პრეზიდენტად თუ კაცი, საზოგადო მოღვაწე თუ პოლიტიკოსი და ა.შ.

— ამ ფონზე არასასურველი კანდიდატი არ შეგვრჩეს ხელთ?

— აი, ეს უკვე მეორე საკითხია. მოდით, სხვა კანდიდატებსაც შევეხოთ. რიგი კანდიდატები როგორც ჩემთვის, ისე საზოგადოების დიდი ნაწილისთვის, აბსოლუტურად, მიუღებელია მიუხედავად იმისა, რომ მათი პარტიის წევრები ბევრს ბაქი-ბუქობენ. არ გამოვა, ეს ადამიანი პრეზიდენტი ვერ გახდება, ვგულისხმობ, გრიგოლ ვაშაძეს. ეს, უბრალოდ, სამარცხვინოა. ოპოზიცია მართალია იმაში, რომ მმართველი ძალის მიმართ საზოგადოებაში დიდი ანტაგონიზმი, გაღიზიანების მაღალი ხარისხია, მაგრამ არანაკლები გაღიზიანებაა „ნაციონალური მოძრაობის“ მიმართ. თუ ვინმეს ჰგონია, რომ „ქართულ ოცნებაზე“ გაბრაზებული, იმედგაცრუებული ამომრჩეველი „ნაცმოძრაობას“ დაუჭერს მხარს, ძალიან ცდება. ასე, რომ რა საარჩევნო კამპანიაც არ უნდა ჩაატარონ, ზოგი მათგანი წინასწარ განწირულია, ამას ნათლად ვხედავ, ვგულისხმობ, ვაშაძეს. მე, დღევანდელი მონაცემებიდან გამომდინარე ვსაუბრობ, თორემ შეიძლება რაიმე გარიგება მოხდეს, ან ვაშაძემ ისეთი მუშაობა დაიწყოს, რომ ვარსკვლავები მოსწყვიტოს, ვერ გეტყვით. დღევანდელი გადმოსახედიდან „ნაცმოძრაობის“ განაყარი პარტიებიდან ბევრად უფრო სიმპატიურად გამოიყურება დავით ბაქრაძე. მას გამოცდილებაც აქვს და თავშეკავებაც იცის, ერთი სერიოზული შეცდომის გარდა, რომელიც ჩანგლებით თავდაცვას უკავშირდებოდა, საზოგადოებას სხვა მისი გადაცდომა არ ახსოვს. თუმცა, ისიც უნდა ითქვას, რომ ხალხს არც მისი გაკეთებული საქმე ახსოვს. საპრეზიდენტო კანდიდატთა შორის არიან ალეკო ელისაშვილი, დავით უსუფაშვილი. პირადად, უსუფაშვილის მიმართ ნაკლები პრეტენზია მაქვს. იგი, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ჭკუადამჯდარი და გამოცდილი პოლიტკოსია, თუმცა მას აკლია ის, რაც პრეზიდენტისთვის საჭიროა და თანაც, მმართველი ძალის მხარდაჭერის გარეშე ძალიან გაუჭირდება. არც ის უნდა დაგვავიწყდეს, რომ მის უკან ისევ ფიგურირებს საზოგადოების ძალიან დიდი ნაწილისთვის მიუღებელი „რესპუბლიკური პარტია“. აქედან გამომდინარე, მას ბიოგრაფიაში არსებული ამ ფრაგმენტის გამო, სერიოზული პრობლემები აქვს. რაც შეეხება ელისაშვილს, მას გამოცდილება არ აქვს, მაგრამ ასოცირდება როგორც პატიოსანი, პატრიოტი ადამიანი და გარკვეული მხარდამჭერები ჰყავს, ოღონდ, თბილისში.

— თუ არ ვცდები, დაახლოებით, 15 საპრეზიდენტო კანდიდატი გვყავს, მაგრამ დიდი არჩევანის საშუალება მაინც არ არის, ანუ, პოლიტიკური თვალსაზრისით მრავალფეროვნება არ არის.

— მრავალფეროვნება არავითარ შემთხვევაში არ ნიშნავს ხარისხს. საერთოდ, უნდა გითხრათ, განსაკუთრებული მოვლენაა ის, რომ საზოგადოების სერიოზულ ნაწილში, პოლიტიკური ელიტის მიმართ, ნიჰილიზმია. დღეს რომ იყოს არჩევნები, ძალიან დიდი ალბათობით გავაკეთებდი პროგნოზს, რომ ძალიან ცოტა ხალხი მივა. „ქართულ ოცნებას“ ძალიან დიდი მუშაობა დასჭირდება, მიუხედავად იმისა დაუჭერს თუ არა ვინმეს მხარს, რათა მოსახლეობა არჩევნებზე მივიდეს. აქვე, ერთსაც გეტყვით: ხალხს უკვე აღარ აინტერესებს ვინ პრო-დასავლელია და ვინ პრო-რუსი, მათ სურთ სოციალური მდგომარეობის გამოსწორება. ახლა, დაიწყო ლარის გაუფასურების პროცესიც. ადამიანები ჯერ ვერ აცნობიერებენ, მაგრამ ცოტა ხანში თავს იჩენს დენის საფასურის გაზრდისგან გამოწვეული პრობლემა. ეს ყველაფერი კიდევ უფრო გააუარესებს სიტუაციას. სხვათა შორის, მიაქციეთ ყურადღება, არცერთი კანდიდატის პლატფორმა ცნობილი არ არის, საკვანძო საკითხებს თუ არ ჩავთვლით.

— ვაშაძემ განაცხადა: გამარჯვებისთანავე საპარლამენტო არჩევნებს დავნიშნავთ და მთავრობას გადავაყენებთო. სცენარის გაგრძელება მიშას ჩამოყვანა, მისთვის ყველა დანაშაულის ჩამოწერა და სრული ქაოსის შექმნა ხომ არ არის?

— თქვენს დასმულ კითხვას, პასუხი თავად გაეცით. ის ფორმატი, რომელიც ახლა არსებობს, ნამდვილი პოლიტიკური ბრძოლისთვის არ გამოდგება, რადგან ყველა ერთი გუნდიდან არის აფრენილი, ვგულისხმობ, „ნაცმოძრაობის“ განაყოფ პარტიებს. ეს არ არის ის ვითარება, როდესაც პრეზიდენტის არჩევა ჯანსაღი კონკურენციის პირობებში ხდება. ხალხმა ზუსტად ისიც კი არ იცის რა უფლებები აქვს ქვეყნის პირველ პირს. პრეზიდენტი რომელსაც ახლა აირჩევენ ბევრად უფრო შეზღუდული იქნება თავის უფლებებში, ვიდრე წინამდებარე. ასეთი ვითარებაა.

— პრეზიდენტის უფლებები ახსენეთ. ხშირად ისმის: რა მოხდა თუკი პრეზიდენტი „ნაციონალი“ გახდება, მას მაინც არაფერის უფლება არ აქვსო. ასე მარტივადაა საქმე?

— პრეზიდენტი მხოლოდ წარმომადგენლობითი ფიგურაა. მას შეუძლია, გარკვეულწილად, მედიატორის როლი შეასრულოს, იაქტიუროს ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთ დიპლომატიურ სივრცეში. რა თქმა უნდა, მას შეუძლია პარლამენტის წინაშე ზოგი თანამდებობის პირის წარდგენა. ასევე, შეუძლია აკონტროლოს სიტუაცია იმ მხრივ, რათა არ დაირღვეს კონსტიტუცია. ომის დროს კი მთავარსარდალია. ძალიან კომიკური სიტუაციაა, კაცს არაფრის უფლება არ აქვს და უცებ, ომის შემთხვევაში, მთავარსარდალი ხდება, ეს წარმოუდგენელი, ალოგიკურია. ეს არის პრინციპული დაპირისპირება კანდიდატებს შორის, ანუ ებრძვიან ერთმანეთს იმიტომ, რომ ის შედეგი მიიღონ, რაც მათი პარტიის, პოლიტიკური ძალის გამარჯვებას ხაზი გაუსვამს.

— პრეზიდენტს ახალი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნის უფლებაც ხომ აქვს?

— კი ეს შეუძლია, მაგრამ ძალიან სერიოზული ავანტიურისტი უნდა იყო, რომ ამ სიტუაციაში საპარლამენტო არჩევნები დანიშნო, რისთვისაც მზად არავინ არის და არც ამის რესურსია შექმნილი.

— ავანტიურა რაზეც თქვენ საუბრობთ, არც ვაშაძეს აკლია, არც ჯაფარიძეს და არც ბაქრაძეს.

— კი, ეგრეა. რასაკვირველია მათ შეუძლიათ ამ ავანტიურაზე წასვლა, მაგრამ ეს ისეთ ვითარებაში უნდა გააკეთო, როცა გამარჯვება გარანტირებული გაქვს. ასეთი სიტუაცია კი საქართველოში კიდევ დიდხანს არ შეიქმნება. არც „ევროპულ საქართველოს“, არც „ნაცმოძრაობას“ თუნდაც ერთადაც რომ იყვნენ, ამის შანსი მაინც არ აქვთ იმიტომ, რომ ძალაუფლება, არჩევნების წინ, მათ ხელში არ არის.

— როგორი პრეზიდენტი ჭირდება დღეს ქვეყანას?

— კარგი. ახლა, მკითხავენ: ცუდი რომელიაო? არა, ცუდში არ არის საქმე. პრეზიდენტს უნდა ჰქონდეს თვისებები, რაც კონსტიტუციით განსაზღვრულს ესადაგება.

კიდევ ერთხელ ვიმეორებ, ზურაბიშვილს არ აქვს ის რესურსი, რომ ამ შავ პიარს მარტო ებრძოლოს. ამ ეტაპზე, ხელისუფლება, სალომეს დაცვას, მხარდაჭერას მანცდამაინც არ ცდილობს.

თამარ შველიძე
555 23 28 24

„საერთო გაზეთი“
გამომცემელი: შპს საგამომცემლო ცენტრი „საერთო სიტყვა“
მის: თბილისი, აღმაშენებლის 164;
ტელ.: 2 34 28 97;
E-mail: saertogazeti@yahoo.com
რეგისტ. №202375349; შაკ (UDC) 070.23 (479.22) ს-158

გაზეთი ხელმძღვანელობს თავისუფალი პრესის პრინციპით. შესაძლოა, ავტორის პოზიცია არ ეთანხმებოდეს რედაქციის აზრს. ინფორმაციის სიზუსტეზე პასუხისმგებელია ავტორი. გასაჩივრება შესაძლებელია მასალის გამოქვეყნებიდან ერთი კვირის ვადაში. შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდება.

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში; თბილისი, აბლაძის 39

® ამ ნიშნით აღნიშნულია სარეკლამო მასალები.

გაყიდული ომი და გაყიდული საქართველო

1 გვ.

არსებობს, ზედ ქართული სახელმწიფოს ბეჭედი აქვს დასმული და პრეზიდენტის ხელმოწერაც აშშვენებს, კოდორის ხეობას უკვე ზემო აფხაზეთი ჰქვია და ესეც სათანადოდ არის დამოწმებულ-დაკანონებული, ახლა საჭიროა ერთი პატარა, ლოკალური ხასიათის ომი, რომ ეს ტერიტორიები მოწინააღმდეგე მხარემ გადაიბაროს და გადაიფორმოს.

დოკუმენტები უკვე მზად არის. ახლა ომი უნდა მოხდეს!..

და ეს ომიც მოხდება...

მიუხედავად იმისა, რომ საქართველოსთვის, თითქმის 25 წელიწადია, მთავარი ამოცანა, მთავარი დევიზი, მთავარი მიზანი ტერიტორიული მთლიანობის აღდგენაა, იმ დოკუმენტებით, რომლებიც „ნაცმოძრაობამ“ შექმნა, ტერიტორიული მთლიანობა აღიდგინა არა საქართველომ, არამედ ტერიტორიული მთლიანობა თავიანთი ყოფილი ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში აღიდგინეს სეპარატისტულმა რეგიონებმა – აფხაზეთმა და ე.წ. სამხრეთ ოსეთმა!

არ არის ეს გამაოგნებელი პარადოქსი, როცა „ნაცმოძრაობა“, გარე ოკუპანტის გამოჩენამდე, თვითონ მოგვევლინა შიდა ოკუპანტის როლში და შიდა ქართლი სამხრეთ ოსეთად გამოაცხადა, კოდორის ხეობა – ზემო აფხაზეთად და ეს ყველაფერი ოფიციალურად გააფორმა.

„ნაციონალებო“, სახელშეცვლილო „ნაციონალებო“, „ნაციონალების“ ბიძაშვილ-მამიდაშვილო პარტიებო, გიფიქრიათ თქვენ ოდესმე, რატომ არ აღიარა რუსეთმა აფხაზეთი და ე.წ. სამხრეთ ოსეთი დამოუკიდებელ სახელმწიფოებად 2008 წლის აგვისტოს ომამდე და რატომ აღიარა მაინცდამაინც ამ ომის შემდეგ?

რატომ და იმიტომ, რომ ამ ომამდე საქართველო აკონტროლებდა ამ სეპარატისტული რეგიონების ტერიტორიების ნაწილს, ომის შემდეგ კი ამ რეგიონებმა აღიდგინეს ტერიტორიული მთლიანობა თავიანთი ადმინისტრაციული საზღვრების ფარგლებში, ამ საზღვრების დაფიქსირებასა და დაკანონებაში კი, რაც არ უნდა გასაკვირი იყოს ეს, მათ საქართველოს ხელისუფლება ჯერ იურიდიული დოკუმენტაციის მომზადებით, მოგვიანებით კი დამარცხებისთვის განწირულ ომში ჩაბმით დაეხმარა, რომლის შედეგებიც ნებისმიერმა ოდნავ გონიერმა ადამიანმა წინასწარ იცოდა, ოღონდ, რატომღაც არ იცოდა საქართველოს ხელისუფლებამ, რომელიც დღემდე თავს იმით იმართლებს, რომ, თურმე, პროვოკაციაზე წამოაგეს და აიძულეს საბრძოლო მოქმედებებში ჩართულიყო.

არადა, 5–6–7 აგვისტოს სააკაშვილის მიერ გაკეთებული განცხადებები არაფრით არ ჰგავს პროვოკაციაზე წამოგებული და შეცდომაში შეყვანილი კაცის განცხადებებს.

და საერთოდ, რას ნიშნავს პროვოკაციაზე წამოგება?

რა არ იცოდა სააკაშვილმა, რას ვერ ხვდებოდა ისეთს, რასაც შეიძლება პროვოკაცია და პროვოკაციაზე წამოგება დავარქვათ?

განა სააკაშვილმა არ იცოდა, რომ როკის გვირაბს მიღმა რუსეთის 58-ე არმია იდგა 70 000 ჯარისკაცით და დიდძალი სამხედრო ტექნიკით, რომელიც ქართული მხარის მიერ ფართომასშტაბიანი სამხედრო მოქმედებების დაწყების შემთხვევაში აუცილებლად ჩაერთვებოდა ბრძოლაში.

აგვისტოს ომის დამთავრების შემდეგ გავრცელდა ხმები, თითქოს სააკაშვილსა და ცხინვალის რეგიონში მდგარი რუსი სამშვიდობოების ხელმძღვანელობას შორის სამხედრო კონფლიქტამდე ცოტა ხნით ადრე შედგა ფარული გარიგება, რომლის მიხედვითაც, სამშვიდობოები გაიწოდნენ და ქართულ ჯარს საშუალებას მისცემდნენ ცხინვალში შესულიყო, რის შემდეგაც ქართული ჯარი ადვილად გადაკეტავდა როკის გვირაბს, დაიკავებდა სტრატეგიულად მნიშვნელოვან პუნქტებს და ობიექტებს, გადაკეტავდა გზებს და მთელ რეგიონში კონსტიტუციურ წესრიგს აღადგენდა.

იმასაც ამბობდნენ, რომ ამ გარიგებაში ქართულმა მხარემ რუს სამშვიდობოებს ძალზე სერიოზული თანხა გადაუხადა.

სააკაშვილი და მისი ტვინით გაპენტილი „სამხედრო სტრატეგოსები“ სამოქალაქო სექტორიდან – ბოკერიები, ადეიშვილები, უგულავები, თარგამაძეები, მერაბიშვილები, იმდენად იყვნენ დარწმუნებულნი ამ „გენიალური“ გეგმის განხორციელებაში, რომ გორში წინასწარ ჰქონდათ დასაწყობებული დიდძალი სურსათ-სანოვაგე, დროშები, ალმები, ტრანსპარანტები, ფერადი ბუშტები – გამარჯვების შემდეგ ცხინვალში გრანდიოზული ზეიმი უნდა გამართულიყო ძლევამოსილი მთავარსარდლის, საქართველოს განმათავისუფლებელი გმირის მიხეილ სააკაშვილის მეთაურობით.

როგორი კრეტინი, როგორი იდიოტი და სულელი უნდა იყო, როგორ არ უნდა გიყვარდეს და იმ დონეზე როგორ უნდა გაიიდეოს ფეხებზე ქვეყანა, მსგავს იაფფასიან ავანტურაში გააყოფინო თავი და იმაზე არ იფიქრო, რას რა შეიძლება მოჰყვეს?

დღეს ნიანგის ცრემლებს აღვარღვარებენ აგვისტოს ომში დაღუპული ქართველი ჯარისკაცების საფლავებზე და მრისხანედ შემართული მუშტებით ოკუპაციას აპროტესტებენ.

კი, მაგრამ, თქვენ თვითონ არ ხართ ამ ოკუპაციის თანაავტორები და ოკუპანტების ბიზნესპარტნიორები?

რამდენადაც ვიცი, „ნაცმოძრაობის“ ელიტა ჯერ კიდევ 2006 წლის ბოლოს აპირებდა იგივეს გაკეთებას, რაც 2008 წლის აგვისტოში გააკეთა. ისინი მთელი სერიოზულობით ამტკიცებდნენ, რომ რუსი სამშვიდობოები, გარკვეული გასამრჯელოს სანაცვლოდ, მზად იყვნენ, ცხინვალი დაეთმოთ.

მაშინ ერთი ჭკვიანი და გონიერი ადამიანის ჩარევით შესაძლებელი გახდა ამ ავანტურისტების შეჩერება და დიდი კატასტროფის თავიდან აცილება, თუმცა 2008 წელს, როცა „ნაცმოძრაობას“ ძალაუფლება უკვე თავში ჰქონდა ავარდნილი და ცა ქუდად არ მიჩნდა და დედამიწა ქალამნად, მათი დაოკება ვერავინ შეძლო და მათ შორის ვერ შეძლეს ამერიკელებმაც, რომლებიც, თუ მათ გულწრფელობაში ეჭვს არ შევიტანთ, „ნაციონალებს“ აფრთხილებდნენ, რომ რუსებთან საომარ კონფლიქტში არ შესულიყვნენ.

რა თქმა უნდა, ქართული სოფლების საარტილერიო დაბომბვები რუსულმა მხარემ დაიწყო, მაგრამ ეს ჯერ კიდევ არ იყო ომი. ომად ის მაშინ იქცა, როცა მთავარსარდალმა სააკაშვილმა ტელევიზიით ოფიციალურად განაცხადა, რომ ცხინვალში კონსტიტუციური წესრიგის დამყარების მიზნით ფართომასშტაბიან საომარ მოქმედებებს იწყებდა და ბრძანება გასცა, ქართული სამხედრო შენაერთები ცხინვალისკენ დაძრულიყვნენ.

– **Это уже война!** – გაბარებულმა და კმაყოფილმა წამოიძახა რუსმა გენერალმა სააკაშვილის ამ ბრძანების მოსმენის შემდეგ, ცხადია, ყოველივე ამის ამსახველი და დამადასტურებელი სატელევიზიო კადრების ჩანაწერებიც არსებობს.

ჰოდა, გადაახვიეთ, თქვენს „ნაციონალ“ მეგობრებთან ერთად უყურეთ!

ერთი ნახვით თუ ვერაფერს გაიგებთ, კიდევ გადაახვიეთ და კიდევ უყურეთ, საქართველოს კი თავი დაანებეთ.

ვინ დაიწყო ეს ომი და ვისთან ერთად, თქვენ, ნაციონალებმა“ და თქვენმა ბელადმა შესანიშნავად იცით.

თქვენ ისიც გეცოდინებათ, სად წავიდა ის 4,5 მილიარდი დოლარი, რომელიც საქართველომ დახმარების სახით მიიღო.

ვის ჯიბეებში დაილექა ეს მილიარდები – ქართველთა სისხლის ფასად, ქართველი ჯარისკაცებს სიცოცხლის ფასად, ათიათასობით ქართული ოჯახის უბედურების და ტრაგედიის ფასად ნაშოვნი მილიარდები?

რას ცუღლუტობდა და ქვეყნის ბიუჯეტიდან რამდენს ახარჯავდა ბატონი სააკაშვილი დოქტორ დოტის და უფრო იაფფასიან დოტებს, ვიცით, მაგრამ რას ცუღლუტობდა იგივე სააკაშვილი, როცა სამხრეთ ოსეთის ადმინისტრაციას ქმნიდა და კოდორის ხეობას ზემო აფხაზეთს არქმევდა, არ ვიცით!

კი, მაგრამ, არ უნდა ვიცოდეთ?

და თუ არ უნდა ვიცოდეთ, ის მაინც ხომ უნდა ვიცოდეთ, რატომ არ უნდა ვიცოდეთ?“

ვახტანგ ხარჩილავა

მინაწერი ერთი წლის შემდეგ:

სალომე ზურაბიშვილმა მის განცხადებაზე, რომელიც წერილის დასაწყისში ვახსენე და რომელსაც დიდი ხმაური და დისკუსია მოჰყვა, მოგვიანებით ასეთი კომენტარი გააკეთა:

1.კითხვაზე, თუ ვინ იყო აგრესორი 2008 წელს, პასუხი არის ერთმნიშნელოვანი: რუსეთი.

რუსეთს 2008 წლის აგვისტომდე უკანონდ ჰქონდა დაკავებული ჩვენი ტერიტორიები და საგულდაგულოდ ემზადებოდა აგვისტოს ომისთვის, რაზეც ინფორმაცია ჰქონდა, მათ შორის სააკაშვილს და მის გარემოცვას. 2008 წლის აგვისტოში, პროცესები წარიმართა რუსეთის სცენარის შესაბამისად, რამეთუ აგვისტომდე დიდი ხნით ადრე იყო მომზადებული;

2.კითხვაზე, შეიტანეს თუ არა წვლილი რუსული სცენარის განხორციელებაში სააკაშვილმა და მისმა გარემოცვამ, პასუხი არის ასევე ერთმნიშვნელოვანი: დიახ.

მეტიც, სააკაშვილის და მისი გარემოცვის უგუნურება და მოღალატებრივი ქცევა იყო პუტინის სცენარის განხორციელების აუცილებელი წინაპირობა. იმის მაგივრად, რომ რუსულ პროვოკაციებზე სააკაშვილს ჩვენი მოსახლეობის უზურუნველყოფით და საერთაშორისო პარტნიორების ყურადღების გამახვილებით ეპასუხა, მან რუსეთის სამხედრო პროვოკაციებს სამხედრო პასუხი გასცა, რაც რუსეთის მიერ გამოყენებული იქნა საბაბად საქართველოს წინააღმდეგ ომის დასაწყებად.

ეს იყო სააკაშვილის და „ნაციონალური მოძრაობის“ უდიდესი დანაშაული ქართველი ხალხისა და ქართული სახელმწიფოს წინაშე, რისი გახსენებაც ჩვენი მოქალაქეობრივი ვალია.

ამ ყველაფრის შეხსენება ორი მიზეზის გამოა აუცილებელი: რათა არ დაბრუნდნენ დამნაშავეები ხელისუფლებაში და მომავალში არც ერთმა ხელისუფლებამ არ ჩაიდინოს მსგავსი გამოუსწორებელი დანაშაული ქვეყნისა და ხალხის წინაშე.

მე ამ ყველაფერს ვიტყვი ყოველთვის, რამდენადაც მწარე არ უნდა იყოს ეს სიმართლეა „ნაციონალებისა“ და მათი სატელიტებისათვის, რომლებიც იყვნენ და არიან რუსეთისა და ანტიდასავლური ძალების საუკეთესო საყრდენი ჩვენს ქვეყანაში.

დაბოლოს, ჩემთვის რაიმეს დაბრალება, მეტადრე იმ ადამიანების მხრიდან, რომლებმაც ჩემი დიდი ძალისხმევით გაყვანილი რუსული ჯარები 2008 წელს რუსეთს უკან შემოაყვანინა, არის სხვა არაფერი, თუ არა უტიფრობა და მათ მიერ ჩადენილი დანაშაულის გადაფარვის უსუსური მცდელობა“.

აბსოლუტური სიმართლეა ის, რასაც ქალბატონი სალომე ბრძანებს, ისე, როგორც სიმართლეა, რაც „საერთო გაზეთში“ ერთი წლის წინ ითქვა.

საქართველოს პრეზიდენტობის მრავალრიცხოვანი კანდიდატებიდან ერთადერთი სალომე ზურაბიშვილია, რომელიც არ ერიდება საგნებსა და მოვლენებს ნამდვილი სახელები დაარქვას. ეს კი, უდაოდ, მისასალმებელია, რადგან ამის გარეშე ქართული სახელმწიფოს წინსვლა და განვითარება შეუძლებელია.

ვ.ხ.

გელა ზედელაშვილი

ღალატის ანატომია

უკუდო ამპარტავნები, ანუ კედელზე გაკრული ფანფარონები

ვინ, როგორ და რატომ ულალატა ბიძინა ივანიშვილს?!

(გაგრძელება. დასაწყისი „ს.გ“ N28)

2012 წლის 12 მაისი, დღის 12 საათი. „ქართული ოცნების“ ცენტრალური ოფისი. მესამე სართულზე ლიფტით ავდივართ დაცვის წევრებთან ერთად. ბატონი ბიძინა მხარზე ხელს მადებს და მისაღებში შევდივართ. საკმაოდ მოზრდილი დარბაზია, თითქმის ყველა მისი მომავალი „თანამებრძოლი“ იქაა. უცებ ზუზუნი წყდება, სამარისებური სიჩუმე ისადგურებს. ირაკლი ალასანიას ვესალმები, ხელს ვართმევ. დაახლოებით 50 ფანფარონი კედელზე „შპალერივითაა“ გაკრული. ივანიშვილი თავის დაკვრით ესალმება, გამარჯობა გამორჩეულად არავისთვის უთქვამს. მომავალი პოლიტელიტა ელოდება, როგორც ჩანს, სათათბიროდ არიან შეკრებილები. თუმცა ჩვენი საუბარი რამდენ ხანს გაგრძელდება, არ ვიცით, თუ ვიყოჩაღებ, შეიძლება თათბირი „ჩავშალო“ კიდეც.

იცით, მისაღებში ჩვენი შესვლის მომენტი არ ამომდის თვალებიდან, დეტალურად მახსოვს, როგორ დაუკრეს თავები იატაკამდე ბატონ ბიძინას. ვიფიქრე, სადაცაა ძირს გაგორდებიან-მეთქი. ზოგი კუთხეში იყო მიყუჟული მურმან დუმბაძის თამადობით. ეგ კი არა, იმ წუთისთვის მეც თითქმის ღმერთი ვიყავი მათთვის. რატომ? იმიტომ, რომ ბიძინა ივანიშვილმა ხელკავი გამომდო და ისე შემიყვანა თავის კაბინეტში. შიშიც დავინახე ზოგიერთის თვალებში, ჯერ ხომ ყველას ბედი არ იყო გადაწყვეტილი? დღევანდელი გადასახედიდან უკვე თამამად შემიძლია იმ ერთი მომენტის შეფასება – ე.წ. პოლიტიკოსების ჯოგი ელოდებოდა სახრავს. შეიძლება ყველაზე ასე არ ითქმის, რასაკვირველია, ჯოგში ერივნენ გულანთებული ადამიანებიც, მაგრამ საერთო ფონზე ისინი გამოკვეთილად არ ჩანდნენ. ბიძინა ივანიშვილი არ გახლავთ ისეთი ტიპაჟი, რომლის წინაშეც უნდა კანკალებდე და რომლისაც უნდა გეშინოდეს. ის იმდენად უშუალო და უბრალოა, სადღაც გულის კუნჭულში შეიძლება ეჭვიც კი შეგეპაროთ – ნუთუ ეს ის მილიარდერია, რომელზეც ამდენს ლაპარაკობენ და რომელიც აქამდე იდუმალებით იყო მოცული? ხშირად ვამბობ და ვიმეორებ: გაოცებული ვარ, ასეთმა ემოციურმა და უბრალო ადამიანმა როგორ მოახერხა, რომ 2011 წლამდე მისი ლანდიც კი არავის უნახავს?

მოკლედ, იმას მოგახსენებდით, მისაღებში შევედით-მეთქი... ვინც იქ ვნახე, თითქმის ყველამ უღალატა – ზოგმა პირდაპირ დაუწყო ლანძღვა, ზოგმა – ირიბად, ბევრი მტრად მოეკიდა, ბევრი კიდევ დადუმდა და დღემდე სეირს უყურებს. სხვათა შორის, მე ყველაზე დიდ მოღალატეებად ისინი მიმაჩნია, რომლებმაც დუმილის გზა არჩიეს. ასეთებს თითქოს აღარაფერი აინტერესებთ, თავის დროზე თავიანთი მიიღეს და როცა შემდგომში სადეპუტატო მანდატები თუ თანამდებობები დაატოვებინეს, გაუჩინარდნენ. არ დაიჯეროთ, ისინი ჩირგვებში არიან და როცა ივანიშვილს უკანასკნელი სიტყვებით ლანძღავენ, სიამოვნებით კრუსუნებენ, პოლიტიკურ ორგაზმს განიცდიან. თუ ბატონ ბიძინას ფეხი დაუცდა, ეგრევე მიესევიან. ღალატის კლასიკური მაგალითი აჩვენეს „რესპუბლიკელებმა“, რომელთა მადის დაკმაყოფილება ბიძინა ივანიშვილს ძალიან ძვირი დაუჯდა. სხვებზე რომ არაფერი ვთქვა, მარტო თინა ხიდაშელის ე.წ. ამერიკული პიარი მილიონები დაჯდა. თუმცა შედეგი იყო არაფერი. ალბათ, ყველას გახსოვთ ირაკლი ღარიბაშვილის არნაბაც“ მოწმობს, რომელიც „რუსთავი 2“-ს ჩამოუკაკლა:

„მე ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ შტაბში ვიყავი, არც თუ პატარა საქმე მებარა. მისი გამოსვლების ხელმძღვანელობა, რა ტექსტებით წასულიყო, საპროგრამო დებულებები... ის კი არა, რაღაც პერიოდი „ფეისბუქზე“ მის ნაცვლად ვპასუხობდი ხალხს... ხალხს რომ ეგონა, ბიძინას ელაპარაკებოდა, სინამდვილეში მე ვალაპარაკებოდი. ერთი პერიოდი მითხრა, მე არ შემიძლია და შენ დაელაპარაკეო. ცხადია, მისი ნებართვით ვაკეთებდი“.

ხული და არგაგონილი გინება, რომელიც ფარული ჩანაწერის სახით გავრცელდა და ადრესატი გახლდათ თინა ხიდაშელი. ამ გინების მიზეზი იყო ამერიკაში ლობისტებისთვის წაღებული ფული. ავი ენები ამბობენ, თინა თავის მამიდაშვილ ცოტნე ბაკურიას შეხვდა ამერიკაში და დიდი აფიორა გაათამაშესო. ამ თემაზე 2012-შიც ავტეხე ერთი ამბავი, ცოტნეს ძმა – მამუკა ბაკურიაც მომივარდა, შენ „მავნეების“ დაკვეთას ასრულებო, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, ირაკლი ღარიბაშვილის გინება დედის რძესავით შეირგო ქალბატონმა თინიკომ. თუ რამე საეჭვო იყო, წასულიყვნენ სასამართლოში, ბაჟის ფულს ვერ გადაიხდიდნენ უსუფაანები თუ ენას ჭალი მოედებოდათ? ირაკლი ღარიბაშვილი რომ სამართლიანად იყო აღშფოთებული, ამას წინებზე „რესპუბლიკელ“ დავით ზურაბიშვილის „აღიარებაც“ მოწმობს, რომელიც „რუსთავი 2“-ს ჩამოუკაკლა:

„მე ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ შტაბში ვიყავი, არც თუ პატარა საქმე მებარა. მისი გამოსვლების ხელმძღვანელობა, რა ტექსტებით წასულიყო, საპროგრამო დებულებები... ის კი არა, რაღაც პერიოდი „ფეისბუქზე“ მის ნაცვლად ვპასუხობდი ხალხს... ხალხს რომ ეგონა, ბიძინას ელაპარაკებოდა, სინამდვილეში მე ვალაპარაკებოდი. ერთი პერიოდი მითხრა, მე არ შემიძლია და შენ დაელაპარაკეო. ცხადია, მისი ნებართვით ვაკეთებდი“.

დავით ზურაბიშვილის თქმით, გიგა ბოკერია, ლევან რამიშვილი და კახა ლომაია „ქართუს“ სარეკლამო კამპანიაში იყვნენ. ხედავთ, რამხელა „პოდლობასთან“ გვაქვს საქმე? კაცმა ხიდაშელს, ზურაბიშვილს და მათ „სასტავს“ სარეკლამო კამპანიის წარმართვა სთხოვა, იმდენად ენდო, „ფეისბუქგვერდიც“ კი ჩააბარა და 6 წლის შემდეგ ყბედობს, ეს მე ვიყავიო. დაუკვირდით, მთხოვა, მე არ შემიძლია, დროებით შენ უპასუხეო. მერე რა? იმ პერიოდში ბიძინა ივანიშვილი ისე იყო გადატვირთული, ბუნებრივია, სოციალურ ქსელებში საწერად ვერ მოიცლიდა. რაკი შენ დაგავალა თუ გთხოვა, ახლა კომპრომატად უდებ?! მეტიც, თინიკომ და დათიკომ სარეკლამო კამპანიაში გიგა ბოკერია, ლევან რამიშვილი და კახა ლომაია ჩართეს. რაის ვარსკვლავები და დიდი რეჟისორები ეგენი მყვანან, რომ დიდი შედეგები მოეტანათ „ქართული ოცნებისთვის“? უბრალოდ ფული აკეთეს ბიჭებმა! ეს ისეთი ვრცელი თემაა, კიდევ დავუბრუნდები უახლოეს ხანში და ჩემი არქივიდან აუცილებლად ამოვა გიორგი სიგუას წერილებიც ამერიკის შეერთებული შტატებიდან. ეს ის გიორგი სიგუა გახლავთ, 2012 წლის არჩევნების შემდეგ რომ ჩამოქანდა თბილისში და თანამდებობა მოითხოვა. პრინციპში, „ეკუთვნოდა“ კიდეც – ნიუიორკში, გაეროს შტაბბინასთან, თავის „პადელნიკებთან“ ერთად მიხეილ სააკაშვილს დედა აგინა (ალბათ, ეს ვიდეოც გახსოვთ). კი ჩამოვიდა სიგუა თბილისში, მაგრამ ახედეს, დახედეს, არ მოეწონათ და უთხრეს, ამერიკაში როდის უნდა დაბრუნდეო? ვა�ა... რას ჰქვია, დავბრუნდეო? – შეიცხადა ამან და ეგრევე მოქანდა ჩემთან. რა იყო, რა ცუდი ფერი გადევს სახეზე-მეთქი? ასე და ასე მითხრეს, წარმოგიდგენიაო? კაი, დამშვიდდი, ყველაფერი კარგად იქნება-მეთქი. გთხოვ, ბიძინას მიაწვდინე ხმა, უკვე მჩაგრავენო. მაგას ვერ ვიზამ, ხმას ვერ მივაწვდენ, მაგრამ პრესაში „გაგიბაზრებ“-მეთქი. წავიდა, „გავუბაზრე“, მიდგა, მოდგა, უცებ ერეკლე ტრიპოლსკის თანაშემწე გახდა, რამდენიმე თვეში ტურიზმის დეპარტამენტის თავმჯდომარედ დანიშნეს. მიედო, მოედო, დაიწყო ჩალიჩი, შექმნა „ჯემფესტი“ ანაკლიაში, რომელიც დიდწილად ბიუჯეტიდან დააფინანსებინა „მავნებს“ და თან პერიოდულად დაიწყო ძრომიალი „რუსთავი 2“-ში. ერთხელ ვეღარ მოვითმინე, დავურეკე – ბიჭო, რა გინდა ამ ტელევიზიაში, დღეგამოშვებით გვარამიას ანგარიშს რომ აბარებ-მეთქი? აუუუ... ეხლა შენ უნდა დაგეკითხო, სად ვივლი და რას გავაკეთებო? გამეცინა, აღარაფერი მითქვამს, უბრალოდ გამახსენდა, მისი ჩამოსვლის შემდეგ ამერიკის შეერთებული შტატებიდან მისივე „მეგობრები“ რომ მწერდნენ, არჩევნებისთვის მოგროვილი ფული „მოტეხა“ და დაითესაო. ორიოდე თვის წინ სოციალურ ქსელებში ფოტო გავრცელდა, მიშა სააკაშვილთან გადაუღია, თან ყველაფერი მოუნანიებია. არ ვიცი, ეს სიმართლეა თუ არა, რაც საკუთარი თვალით ვნახე, იმას გიყვებით.

ყოველ შემთხვევაში, არსად უთქვამს, სააკაშვილისთვის მუხლები არ დამიკოცნიაო. სხვათა შორის, სიგუას ამერიკელი „მეგობრები“, ანუ ემიგრანტები მაშინ ძალიან შფოთავდნენ, ნერვიულობდნენ, მის მიერ ჩადენილ „საგმირო“ საქმეებზე მწერდნენ, მაგრამ რაკი „ნაცმოძრაობა“ გადავაშენეთ,

ეს საქმე დიდად აღარ გასკანდალებულა.

სიმართლე გითხრათ, პირდაპირ ბიძინა ივანიშვილთან იმ პერიოდში არც ერთი საკითხი არ მიმიტანია, თუ რამე მნიშვნელოვანი იყო, მის პრესმდივანს, მაია ფანჯიკიძეს ვეუბნებოდი. ამ მხრივ პირდაპირ შემოსევა მქონდა – ბევრს ეგონა, რაკი შევხვდი და პრესკონფერენციებზე შეკითხვებს ვუსვამდი, რაკი ის ჩემს მიმართ ყოველთვის გამოხატავდა სიმპათიას, ყოველ საღამოს ერთად ვისხედით, შეკითხვებს ვადგენდით და თან სტაფილოს წვენს მივირთმევდით. რასაკვირველია, ასე არ იყო, მაგრამ საზოგადოების ერთ ნაწილს ნანახიდან და გაგონილიდან აზრის გამოტანა უჭირს, დაგინახეს ტელევიზორში, რომ ბიძინა ივანიშვილს ელაპარაკები? მორჩა, მოდის თხოვნები წვიმასავით, თან საყვედურების თანხლებით: „ბიჭო, ამას გვიმალავდი“? „ეეე... თუ ასე ახლოს იყავი, რატომ არ გვითხარი“? მოდიოდნენ წინადადებებით, პროექტებით, თხოვნებით: ერთს მე-19 საუკუნის საწნახელი ჰქონდა სახლში და იყიდოსო, ბაბუაჩემის ბაბუის ნაქონია და ცოდვაა, გაფუჭდებაო; მეორე თავის ნახატებს მაჩეჩებდა, იყიდოს, რა უჭირსო? მესამემ – შვილიშვილები მყავს დასასაქმებელი, უცხოეთში აპირებენ წასვლას, თუ წავლენ, შენი

და ბიძინას სინდისზე იქნებაო; მეოთხემ – პროექტი მაქვს, ოღონდ ბიძინას უნდა შევხვდე, მის მეტი ვერავინ გაიგებს ამ პროექტის გენიალურობასო; ერთი მოვიდა, შენ გენაცვალე, გადაეცი, კბილები ჩამისვასო. მოჰქონდათ წერილები, პირადად ხელში გადაეციო. ასეთები იყვნენ ასობით და ათასობით. ბევრი მოვიმდურე, ბევრი გადავიკიდე, ვერ იყიდა ბიძინა ივანიშვილმა მავანის საწნახელი, მავანის ნახატები, ვერ დაასაქმა მავანთა შვილიშვილები, ვერ ჩაუსვა ზოგიერთს კბილები და ქე დაგვიწყეს ორივეს ლანძღვა-გინება. გამოგიტყდებით, ასეთი თხოვნა-მუდარებით დღესაც მაწუხებენ, მაგრამ რა შედარებაა, ფაქტობრივად ჭექა-ქუხილი უკვე გადავლილია. კალამი გამექცა, ძირითად თემას გადავუხვიე, დავუბრუნდეთ ისევ ბიძინა ივანიშვილის პირვანდელ გარემოცვას, სადაც საქმე გადარბენა-დასწრებაზე იყო. ღალატის მეორე სანიმუშო მაგალითი გახლავთ ირაკლი ალასანიას „მოღვაწეობა“, რომელიც გახდა თუ არა თავდაცვის მინისტრი, ეგრევე წარმოიდგინა, მე ვარ და ჩემი ნაბადიო. სანამ ირაკლი მინისტრი გახდებოდა, ივანიშვილთან უკვე გაფუჭებული ჰქონდა ურთიერთობა. ამ ენერგიულმა ბიჭმაც, გუბაზ სანიკიძის მსგავსად, ვერ მოითმინა და ვიღაცასთან ტელეფონზე საუბრისას აუგად მოიხსენია, პირდაპირ აგინა და გაუგებარი პიროვნება უწოდა. „ჩვენ რა ვქნათ, ჩვენ“?! ეს ე.წ. ფრთიანი ფრაზა სწორედ მაშინ დაიბადა ქართულ სინამდვილეში. ალასანია წუხდა, რომ ვერა და ვერ გაარკვია, რას უპირებდა ივანიშვილი, იღებდა თავის გუნდში თუ არა, ბოლოს და ბოლოს, წავიდე ქვეყნიდან თუ დავრჩეო?! ირაკლი ფარულად ჩაწერეს და გამოუქვეყნეს. ვითომც არაფერი მომხდარა, ეს ამბავი თვითონაც გაატარა და ბიძინამაც გაუტარა – სამეგრელოში გააგზავნა არჩევნების მოსაგებად. როდესაც 5 მილიონი ლარი გამოუყვეს სამეგრელოში (შვიდ რაიონში) საარჩევნო კამპანიის ჩასატარებლად, ივანიშვილმა შესთავაზა, ძალიან რთულ რეგიონთან გაქვს საქმე, თუ გინდა, ხალხს დაგახმარო. ჰმ... რას ბრძანებთ, ბატონო ჩემო, ეგლა მაკლია, სამეგრელოს ყველა რაიონში არჩევნები ვერ მოვიგოო. კარგი, აბა, შენ იციო.

წავიდა ირაკლი... ვერ მოიგო, ყველა რაიონში წააგო, საკუთარი თავიც კი ვერ გაიყვანა. რატომ? იმიტომ, რომ სანამ ის სამეგრელოში ჩავიდოდა, ცოტა არ იყოს, სახიფათო განცხადებები აკეთა ახალაიების მისამართით – ამტკიცებდა, ყოველ კუთხე-კუნჭულში უკანონო დაჯგუფებებს ქმნიან და აიარაღებენო:

„ახალაიები სააკაშვილის ბრძანებით უკანონო შეიარაღებულ ფორმირებებს ქმნიან. როგორც კი ეს განცხადება გავაკეთე, შედეგიც მივიღეთ. ჩემი განცხადების გავრცელებისთანავე დაიწყო გადაადგილებები და სახლებში განთავსებული უკანონო დაჯგუფებები შტაბებში გადაიყვანეს. შემდეგ კი ამ სარეზერვო ინიციატივის ფორმალიზება და კანონის ჩარჩოში მოყვანა დაიწყო, მაგრამ სააკაშვილისგან თვალებში ნაცრის შეყრას დიდი ხანია შევეჩვიეთ, მან ივანიშვილის გამო კონსტიტუციაც კი შეცვალა“.

მამა, როლანდ ახალაია, ძმები – ბაჩო და დათა ახალაიები მეგის ქარდავასთან თუ ათასი ჯურის ავანტიურისტებთან ერთად მართლაც არ აპირებდნენ დათმობას. ახლა რომ აცხადებს მიხეილ სააკაშვილი, ხელისუფლება დემოკრატიული გზით, ნებაყოფლობით გადავაბარეთო, არის სრული სიცრუე – ეს საერთაშორისო ავაზაკი სამეგრელოს თვლიდა იმ ბასტიონად, სადაც წაგების შემთხვევაში უნდა გამაგრებულიყო. იქ გადაატანინა დიდძალი იარაღი და რაც მთავარია, „კომპრომატები“ კასრებით. კომპრომატების საკითხი ებარა მეგის ქარდავას. რომ არა ამერიკის შეერთებული შტატების ელჩი საქართველოში, რიჩარდ ნორლანდი, ამ ქვეყანაში იგივე განმეორდებოდა, რაც მოხდა 1991 წლის დეკემბერში. მიუხედავად იმისა, რომ ირაკლი ალასანიას მხარს უჭერდა „ქართული ოცნება“ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით და რიჩარდ ნორლანდიც ჩავიდა ზუგდიდში, ახალაიებმა მაინც მოიგეს. გასაგებია, მოსახლეობა იყო ტერორის ქვეშ, ძალიან ბევრი გახლდათ ახალაიების გავლენის ქვეშ, ძალიან ბევრს ჰქონდა პირადი ინტერესები, მაგრამ ირაკლი ასე მაინც არ უნდა გაფარჩაკებულიყო. რა მოხდა, რატომ გაფარჩაკდა? მან ზურგზე წამოიკიდა ის ტვირთი, რომლის აწევაც ვერ შეძლო. არადა, უნდოდა, გული ერჩოდა, ენერგიაც ჰქონდა, მაგრამ საამისო ბაზა არ გააჩნდა, უკუდო ამპარტავანი გამოდგა, რომელმაც დახმარებაზე უარი თქვა. ავი ენები ამბობენ, ფულის დახარჯვა არ უნდოდა და ამიტომაც თქვა უარიო. მით უარესი!

მოკლედ, ეწვია ირაკლი ალასანია 2012 წლის არჩევნების წინ ზუგდიდს, რათა ბეჭებზე დაედო „ნაციონალური მოძრაობა“ და ახალაიების კლანჭებიდან გამოეხსნა სამეგრელო. „ქართული ოცნების“ სრული მხარდაჭერის, ბიძინა ივანიშვილის ფინანსური გარანტიისა და ამერიკის შეერთებული შტატების ელჩის მონდომების მიუხედავად, ის მაინც ჩაფლავდა. იმ პერიოდში სამეგრელოში მცხოვრებ კახა მიქაიასთან დაახლოებული ერთი ფრიად ალალი ადამიანი მიყვებოდა, ჩამოვიდა ალასანია, დაადგა თავზე კახას, უნდა დამეხმაროო. ამან ხათრით ვეღარ უთხრა უარი და დასდევდა უკან, მაგრამ ერთხელაც ამოუვიდა ყელში და პირდაპირ მიახალა – ძმაო, ირაკლი, მე არც შენი პარტიის წევრი ვარ, არც რაიმე პირადული ვალდებულება მაქვს, მოდი, რა, შემეშვიო. არადა, მიქაიას, რომელიც „დაიცავი საქართველო“-ს ერთ-ერთი ლიდერი იყო და თავის დროზე ძმებ გაჩეჩილაძეების გვერდით ებრძოდა სააკაშვილის რეჟიმს, სამეგრელოში ნამდვილად ჰქონდა გავლენა. რაში სჭირდებოდა ალასანიას მისი დახმარება? ამას მომდევნო ნომრებში მოგიყვებით.

(გაგრძელება იქნება)

პარლამენტის წინ მიმდინარე „თავისუფლებისმოყვარეთა“ აქციები ეს იყო კვირიკაშვილის მიერ დაგეგმილი პროვოკაცია ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ

გვესაუბრება „იბერიულ-კავკასიური მოძრაობის“ თავმჯდომარე, ზვიად გამსახურდიას პირადი დაცვის ყოფილი წევრი **ბესო მიქავა**, რომელიც პარლამენტის წინ მიმდინარე „თავისუფლებისმოყვარეთა“ „გრანდიოზული“ აქციების დროსვე აცხადებდა, რომ სინამდვილეში ეს იყო კორუმპირებული მთავრობის მიერ მოწყობილი პროვოკაცია. ბიძინა ივანიშვილს უპირისპირდებოდა მისი ე.წ. გუნდის ნაწილი კვირიკაშვილის მეთაურობით. მმართველი ძალა სავსეა „საბოტაჟნიკებით“, ნაცების ე.წ. ბანდა არსად წასულა, ხელისუფლებაში

არიან, დროზე გაწმინდოს ბიძინა ივანიშვილმა „ქართული ოცნება“ პროვოკატორებისგან, თორემ გამწარებული ხალხი მტყუან-მართალის გარჩევას აღარ დაიწყებსო. ბესო მიქავას ვარაუდი საფუძველს მოკლებული რომ არ იყო, შემდგომ განვითარებულმა პროცესებმაც დაადასტურა.

ბესო მიქავა: როგორც კი დაიწყო ვითომდა თავისუფლების მოთხოვნით აქცია პარლამენტის წინ, მაშინვე გამოჩნდა ორი მხარე, ე.წ. აქცია და ე.წ. კონტრაქცია. სინამდვილეში არავითარი კონტრაქცია არ ყოფილა, თუმცა მავანთ ძალიან უნდოდათ, რომ ყოფილიყო. აქციის დაშლის შემდეგ, „პროტესტანტებმა“ სახელმწიფო კანცელარიასთან გადაინაცვლეს ვითომდა 17 მაისი უნდა „ეზეიმათ“, მაგრამ თითზე ჩამოსათვლელი ხალხი მივიდა. იმ ღამეს პარლამენტთან ვიყავი, ავტომანქანა მოშორებით მყავდა გაჩერებული, მობილური ტელეფონი დამიჯდა და დამტენის ასაღებად წავედი. პოლიციას კანცელარიის მიმდებარე ტერიტორიის გარდა, პარლამენტის შენობის ზედა მხარეც გადაკეტილი ჰქონდა, ორი კორდონი იყო. ავტომანქანისკენ მიმავალი შევესწარი, როგორ რეკავდა ვიღაც, შემდეგ მოდიოდა რამდენიმეკაციანი ჯგუფები, პოლიციელებს ისინი შიდა კორდონისკენ მიყავდა, გახსნიდნენ კორიდორს და ამ ხალხს კანცელარიის წინ მოწყობილ აქციაზე უშვებდნენ. „სტუმრებში“ ჩემი ნაცნობები შევნიშნე, რომლებსაც არანაირი შეხება არ აქვთ ნარკოტიკთან, სიგარეტსაც კი არ ეწევიან. გამიკვირდა შუაღამისას ამ ხალხს იქ რა უნდოდა, მერე გამახსენდა სადაც მუშაობდნენ და ეჭვი გამიჩნდა, რომ სპეციალურად მოყავდათ ხალხი, აქციას მონაწილეებით „ამარაგებდნენ“ მრავალრიცხოვანი რომ გამოჩენილიყო, ე.ი. მთავრობაც ჩართული იყო ამ ყველაფერში. ბუნებრივად ჩნდება კითხვა, რა ინტერესი ჰქონდა ამ უკანასკნელს, მით უმეტეს, რომ ის ძვირადღირებული აპარატურა, რომელსაც „პროტესტანტები“ იყენებდნენ, თი-ბი-სი ბანკს ეკუთვნოდა. მოგეხსენებათ, ანაკლიის პორტის მშენებლობასთან დაკავშირებული ტენდერი მამუკა ხაზარაძემ მოიგო, მაგრამ პროექტის განსახორციელებელი თანხა სახელმწიფოს მოსთხოვა. იმ პერიოდში ეკონომიკის მინისტრი გიორგი გახარია გახლდათ. ვფიქრობ, მან ხელი არ მოაწერა შესაბამის დოკუმენტს ხაზარაძეს ბიუჯეტიდან დაფინანსება რომ მიეღო, ამას ეკონომიკის მინისტრის თანხმობა ჭირდებოდა. გახარიას უარმა „ხაზარაძესა და კომპანიას“ იმედები გაუცრუა, რომ მილიარდებს იშოვნიდნენ, ანაკლიის პროექტის წყალობით, საშვილიშვილოდ იქნებოდნენ უზრუნველყოფილი. ხაზარაძეს პრემიერ-მინისტრი გიორგი კვირიკაშვილი უჭერდა მხარს, საერთოდაც ისინი ყოველთვის ერთად იყვნენ, მოქკავშირის მმართველობის პერიოდიდან მოყოლებული დღემდე. ანაკლიის პროექტის ასე ვთქვათ, ჩაგდებამ ფულის შოვნის შესაძლებლობა კი დაუკარგა, მაგრამ სურვილი რა თქმა უნდა დარჩა და დაიწყეს მოქმედება, რომ როგორმე განეხორციელებინათ.

ცოტა მოგვიანებით აქტიურად ვრცელდებოდა ხმები, კვირიკაშვილს გადააყენებდნენ და მის თანამდებობას გიორგი გახარია დაიკავებდა. სწორედ იმ პერიოდში კვირიკაშვილი აგინებს ფაქტობრივად თანაგუნდელ, ნაციონალ ნიკა მელიას, ამას იმიტომ ვამბობ, რომ ბატონი კვირიკაშვილი ნაცმოძრაობასთან ძალზე დაახლოებული გახლდათ, თავის დროზე მათ საარჩევნო შტაბშიც კი იყო, შესაბამისი ფოტოც მაქვს, რომელიც ერთ-ერთ გაზეთში გამოქვეყნდა ჩემს ინტერვიუსთან ერთად. სხვათა შორის, თავიდან გამიკვირდა მელიამ კვირიკაშვილს რომ არ უჩივლა, თითქმის არ ჰქონია რეაქცია გინებაზე, სამაგიეროდ, კვირიკაშვილი გამოჩნდა მაგარ ბიჭად. „ასავალ-დასავალთან“ ინტერვიუში განვაცხადე, რომ კვირიკაშვილის ფიტულს დავწვავდი ამერიკის საელჩოსთან, როგორც მანამდე სააკაშვილის ფიტული დავწვი, ეს პირველმა გავაკეთე. აბა, სად უნდა დამეწვა, ამერიკელების მოყვანილი იყო სააკაშვილი, ისინი იყვნენ მისი პატრონები და თქვენვე წაიყვანეთ-თქო. კვირიკაშვილიც ამერიკის კაცია, ამიტომ მათ საელჩოს წინ ვაპირებდი კვირიკაშვილის ფიტულის დაწვასაც. შემდეგ იყო ღამის კლუბ „ბასიანში“ პოლიციის შევარდნა და აჟიოტაჟი, რასაც პარლამენტის წინ აქციები მოყვა. სულელი უნდა იყო, თუ რაიმე მიზანი არ გამოძრავებს, რომ ვიღაც ნარკობარიგის დასაჭერად კლუბში შევარდე და ასეთი სისულელეები აკეთო. ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკაში მობრუნებას მოყვა ეს შევარდნა-აქციები, მაგრამ ეს გეგმა მანამდე არსებობდა და მექანიზმიც ამუშავებული იყო. ეს აქციები მთავრობის ხელდასმით იყო ორგანიზებული, რადგან ხელშეუხებელი იყო მისი მხრიდან. მე 9 აპრილის შიმშილობის აქციას რომ ვმართავდი, ბორდიურზე დაჯდომის უფლება არ მომცეს, ამ დროს ეს „პროტესტანტები“ რას აღარ აკეთებდნენ იქ, მთელი ღამე საშინელი ხმაური იყო და კაციშვილს ხელი არ შეუშლია, ე.ი. ვიზირება იყო მიცემული. ამავე გეგმის ნაწილი იყო ე.წ. კონტრაქცია, რომელთანაც შეჯახება უნდა მომხდარიყო, რაც პირადად მე არ დავუშვი. გიორგი გაბედავას და იმ ახალგაზრდებს, რომლებიც ქაშუეთის ტაძართან იყვნენ შეკრებილი, ვურჩიე, კანცელარიასთან შევიკრიბოთ, აქციის მონაწილეებს დავეთანხმოთ კვირიკაშვილის გადადგომის მოთხოვნაში და იგივე მოვითხოვოთ, მაშინვე მქონდა დიდი ეჭვი, რომ პარლამენტის წინ აქცია კვირიკაშვილის ინიციატივით იყო დაწყებული და მინდოდა მისი ნასროლი ბუმერანგივით დაბრუნებოდა. ახალგაზრდებს ვუთხარი, თუ აქციის დაშლა გინდათ, ჩვენც მოვითხოვოთ კვირიკაშვილის გადადგომა, დამიჯერეთ, თვითონ დაშლიან აქციას-თქო. ასეც მოხდა. გიორგი გაბედავამ თქვა, მივალთ 9 აპრილის მემორიალთან, სანთლებს დავანთებთ და ყოველგვარი დაპირისპირების გარეშე უკან დავბრუნდებითო, პოლიციამ ნება მოგვცა, მაგრამ მერე ვიღაცამ დარეკა და უმიზეზოდ გამოგვრეკეს. ამ ახალგაზრდების მოტყუება რომ არ გამოუვიდათ, მერე წამოსწიეს ე.წ. ფაშისტი გიორგი ჭელიძე, რომელიც მანამდე ფინანსთა სამინისტროში მუშაობდა და უცებ ფაშისტი გახდა. ჩემი აზრით, ბიძინა ივანიშვილამდე მივიდა ინფორმაცია, რომ კვირიკაშვილი „ქართული ოცნების“ სახელით სარგებლობდა, პარტიის წევრებს ეგონათ, რომ ბატონი ბიძინას დავალება იყო და ემორჩილებოდნენ კვირიკაშვილის ბრძანებას, მათ შორის პოლიციელებიც. შვილმოკლული მამების აქციაც ამათი აგორებულია, მე არ ვამბობ, რომ ზაზა სარალიძე მონაწილეობდა მათ მაქინაციებში, ამ ხალხის უბედურება ამათ თავიანთ სასარგებლოდ გამოიყენეს. კვირიკაშვილის ამ აქციაზე მისვლა, მისთვის ბოთლის სროლა და ა.შ. კვირიკაშვილის ჩაწყობილი მგონია, რომ მათ თანამონაწილედ არ გამოჩენლიყო. ეს ყველაფერი რა თქმა უნდა ბიძინა ივანიშვილის, პირველ რიგში კი გიორგი გახარიას წინააღმდეგ იყო მიმართული, მაგრამ მან შეძლო კონფლიქტის თავიდან აცილება. მე თქვენ გაზეთთან რამდენიმე თვის წინაც ვთქვი, რომ სააკაშვილის ნარჩენები დესტაბილიზაციას აწყობდნენ, მაშინ ჩაცხრა დაძაბულობა, მაგრამ ახლაც ცდილობენ ქვეყანაში გარკვეულწილად არიონ სიტუაცია.

— ბატონო ბესო, ჩვენს გარშემო ძალზე დაძაბული ვითარებაა, თურქეთი ღიად დაუპირისპირდა ამერიკას, სომხეთი მის ტრადიციულ მეგობარ რუსეთს. ამ დროს სერგეი შამბა აცხადებს, რომ ქართველებს მტრად არ თვლის და მოლაპარაკებას გვთავაზობს, აგერ გერმანიის კანცლერი მერკელი გვსტუმრობს. რა პოლიტიკურ პროცესებთან გვაქვს საქმე, რას უნდა ველოდოთ?

— სომხეთში მშვიდობიანი რევოლუცია მოხდა, პრემიერი ფაშინიანი რომ ამერიკის კაცია, ამას აღარავინ მალავს. ფაქტია, რუსეთში მყოფმა სომხურმა ლობმა ამერიკას გზა გაუხსნა სომხეთისკენ, ირანის წინააღმდეგ, სადაც სერიოზული სომხური ლობი არსებობს, ომი რომ მზადდება, ეს ყველას კარგად მოეხსენება, სირიაშიც არსებობს ასეთი ლობი. დღევანდელი სომხები იმ არმენების შთამომავლები არიან, რომლებიც სირიაში, კილიკიაში ცხოვრობენ. რუსეთმა ფაქტობრივად ნება დართო სომხეთს, რომ გაამერიკელდეს, ისიც ითქვა, რომ სომხეთში ჩაიდო ამერიკის სომხური ლობის ფული, ამ დროს სომხეთი რუსეთის მოკავშირედ ითვლება, რუსეთის პოლიტიკური ელიტა რატომღაც არ აპროტესტებს ამერიკის სომხეთში შესვლას, მათ შორის, ლავროვიც. როგორც კი პუტინისგან საქართველოს მიმართ რაიმე დადებითი წინადადება წამოვა, მეორე დღესვე გამოდის ლავროვი და საწინააღმდეგო განცხადებას აკეთებს. გაუჭირდებათ მისი იარაღად გამოყენება, მით უმეტეს კავკასიაში ჩვენი კავკასიელებთან ურთიერთობიდან გამომდინარე. ამასთან ერთად მუდმივად ექნებათ კულტურული ომი ჩვენთან. ვფიქრობ, სწორედ ამიტომ გადაწყვიტა ამერიკამ სომხეთში მოეწყო ჩუმი რევოლუცია, მიუხედავად იმისა, რომ კავკასიის ცენტრი საქართველოა. სომხეთმა მათ რომ შესთავაზოს, ნატოს ბაზებს დავაკანონებთ ჩვენს ტერიტორიაზე, მაგრამ სანაცვლოდ რას მივიღებთო, თავისთავად შესთავაზებენ მთელს კავკასიას კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეებთან ერთად, აფხაზეთი და ეს რეგიონები ფაქტობრივად უკვე ისედაც სომხების ხელშია. რუსეთის დაშლაზე რომ მთელი მსოფლიო მუშაობს, ეს ელემენტარული ჭეშმარიტებაა. სომხეთის ოცნებაა ზღვაზე გასვლა და კავკასიაზე ბატონობა, ამას თუ შეპირდება ამერიკა, ყველაფერს გააკეთებენ, პუტინსაც სიამოვნებით გააგორებენ, ეს საშიშროება უკვე დგას. სომხებს არასდროს ექნებათ იდეური ომი ნატოსთან, გამორიცხულია, ისინი თვალის

8 გვ. →

გრიგოლ ვაშაძის საიდუმლო

● გრიგოლ ვაშაძის პირველი ცოლი საბჭოთა კავშირის ბანკის ხელმძღვანელის ვლადიმერ ალხიმოვის ქალიშვილი ნატალია ალხიმოვა იყო. ნატალიასგან მას ვაჟი – ნოდარი ჰყავს.

● გრიგოლ ვაშაძეს, რომელსაც მეტსახელად „ტარაკანა“ შეარქვეს, რუსები დღემდე თავის კაცად თვლიან.

● რა ბიზნესებს ფლობს ვაშაძე რუსეთში?

● გრიგოლ ვაშაძეს ფსიქიკური პრობლემები აქვს?

მრავალი წლის წინ, სოციალისტური წყობილების დროს, რუსეთში მოღვაწეობდა საბჭოთა კავშირის გმირის წოდებით დაჯილდოებული კაცი — ვლადიმერ სერგის ძე ალხიმოვი.

ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი, ვლადიმერ ალხიმოვი 1976 წლიდან 1986 წლამდე საბჭოთა კავშირის სახელმწიფო ბანკს ხელმძღვანელობდა.

გუგლის საძიებო სისტემა იუწყება, რომ 1985 წელს ვლადიმერ სერგის ძის ქალიშვილმა ნატალია ალხიმოვამ და მისმა მეუღლემ, პიანისტმა ანდრეი გავრილოვმა, რომლებიც ლონდონში ცხოვრობდნენ, საბჭოთა კავშირს თხოვნით მიმართეს თავისუფალი გადაადგილების შესახებ მთელ მსოფლიოში. მათ სსრკ-ის მაშინდელი ხელმძღვანელის მიხეილ გორბაჩოვისგან თანხმობა მიიღეს, მაგრამ ამით დასრულდა ვლადიმერ ალხიმოვის კარიერა.

საბჭოთა კავშირის ბანკის მმართველი ვლადიმერ ალხიმოვი 1993 წელს გარდაიცვალა. იგი ნოვოდევიჩის სასაფლაოზეა დაკრძალული.

ვლადიმერ სერგის ძის ცხოვრებისა და გარდაცვალების შესახებ თქვენს ყურადღებას არ გავამახვილებდი, რომ არა ერთი გარემოება: რაოდენ გასაკვირიც უნდა იყოს, ვლადიმერ სერგის ძის ოჯახის დრამა საქართველოს პრეზიდენტობის კანდიდატთან გრიგოლ ვაშაძესთან არის დაკავშირებული.

ამბავი, რომელსაც გიამბობთ, წლების განმავლობაში ბურუსით იყო მოცული და მას თითქოსდა საბედისწერო ტაბუ ედო.

ოფიციალურ დოკუმენტაციაში ვლადიმერ ალხიმოვის ქალიშვილის ნატალიას ერთადერთ მეუღლედ ანდრეი გავრილოვი სახელდება, თუმცა საბჭოთა კავშირში უაღრესად ცნობილი და ავტორიტრეტული პირის ვლადიმერ სერგის ძის პირველი სიძე გრიგოლ ვაშაძე გახლდათ.

საბჭოთა კავშირის საბანკო სისტემის მმართველის ალხიმოვის სიძობამ დიდად შეუწყო ხელი ახალგაზრდა გრიგოლის კარიერულ წინსვლას და არა მხოლოდ გრიგოლ ვაშაძის, არამედ მამამისის, ნოდარ ვაშაძის კარიერასაც დიდად დაეხმარა.

გრიგოლის და ნატალიას მალე ვაჟი გაუჩნდათ, რომელსაც ნოდარი დაარქვეს. მშვენიერი იდილია სუფევდა ალხიმოვების ოჯახში, სანამ ნატალია ალხიმოვას ახალი სიყვარული არ ეწვია. ეს გახლდათ სსრკ-ში ცნობილი, წარმოშობით გუდაუთელი პიანისტი ანდრეი გავრილოვი.

ნატალია და ანდრეი ინგლისში გაიპარნენ...

ეს იყო უდიდესი დარტყმა არა მხოლოდ ალხიმოვებისა და ვაშაძეების ოჯახისთვის, არამედ საბჭოთა სისტემისთვის — სსრკ-ის გმირის, „მორალურად მდგრადი“ საბჭოთა საბანკო სისტემის ხელმძღვანელის ქალიშვილი კაპიტალისტურ ბრიტანეთში გაიქცა საყვარელთან ერთად!

ვლადიმერ სერგეევიჩმა იმდენი მოახერხა, რომ ოფიციალურ წრეებში გაავრცელა ინფორმაცია, თითქოს მისი ქალიშვილი პიანისტთან ერთად სამწლიანი მივლინებით გაემგზავრა ინგლისში, ამას დაემთხვა მიხეილ გორბაჩოვის თანხმობაც ნატალია ალხიმოვას თხოვნაზე მსოფლიოში თავისუფალი მიმოსვლის ლეგალიზებასთან დაკავშირებით.

ოჯახური ტრაგედიის გახმაურება არც ალხიმოვებს აძლევდა ხელს, არც ვაშაძეებს და კაცმა რომ თქვას, არც საბჭოთა ნომენკლატურას, ამიტომაც მიჩუმათდა ეს ამბავი და ტაბუ დაედო.

გრიგოლ ვაშაძეს, როგორც რუსეთში ეძახდნენ, გრიშას, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, რუსეთთან შვილი აკავშირებს, ნატალია ალხიმოვასა და მისი საერთო ვაჟი — ნოდარი, რომელიც სრულწლოვანებამდე ალხიმოვების ოჯახში იზრდებოდა და გრიშაც, როგორც ბავშვის მამა, ოჯახისთვის კვლავაც ძვირფასი ფიგურა იყო, მით უფრო მას შემდეგ, რაც ვლადიმერ სერგეევიჩი ბანკის თანამდებობებიდან გაათავისუფლეს, ამ უკანასკნელმა საბჭოთა კავშირისთვის მნიშვნელოვან მოლაპარაკებაში მიიღო მონაწილეობა ამერიკულ მხარესთან ალასკის საკითხთან დაკავშირებით და მან ისევ შეძლო გავლენების მოპოვება სსრკ-ის მმართველ წრეებში.

გრიგოლ ვაშაძე დაიბადა 1958 წლის 18 ივნისს, 1981 წელს დაამთავრა მოსკოვის საერთაშორისო ურთიერთობების სახელმწიფო ინსტიტუტი. მუშაობდა სსრკ საგარეო საქმეთა სამინისტროში საერთაშორისო ორგანიზაციების განყოფილებაში, შემდეგ კოსმოსური და ბირთვული შეიარაღების განყოფილებაში.

არასერიოზულია იმის ახსნა, რომ საბჭოთა დიპლომატი ამ დეპარტამენტებში არ მუშაობდა საბჭოთა საგარეო დაზვერვის თანამშრომლად ისევე, როგორც მიხეილ სააკაშვილის ბიძა, საბჭოთა დიპლომატი, კგბ-ს პოლკოვნიკი თემურ ალასანია.

1988–90 წლებში გრიგოლ ვაშაძემ საბჭოთა კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს ასპირანტურა დაამთავრა. ოფიციალური მონაცემებით, 1991 წელს, როგორც ჩანს, სახელმწიფო უშიშროების ორგანოების მითითებით, მან ოფიციალურად დატოვა დიპლომატიური სამსახური და ნიუ-იორკში გადავიდა საცხოვრებლად.

მაშინ ის უკვე იყო დაქორწინებული დიდი თეატრის ბალერინა ნინო ანანიაშვილზე. იმ ხანებში ცოლ-ქმარმა უარი თქვა საქართველოს მოქალაქეობაზე, რადგან საქართველოს ახალი კონსტიტუცია არ ითვალისწინებდა ორმაგი მოქალაქეობის უფლებას.

2004 წელს ნინო ანანიაშვილი ბუბა კიკაბიძესთან ერთად სააკაშვილის პროპაგანდისტულ გუნდს შეუერთდა.

მიშამ მოიწვია ოჯახი თბილისში საცხოვრებლად და შესთავაზა კიდევაც პრიმა-ბალერინას თბილისის სახელმწიფო ოპერისა და ბალეტის თეატრის საბალეტო დასის ხელმძღვანელობა.

2006 წელს ნინო ანანიაშვილი მიხეილ სააკაშვილის ვაჟის ნიკოლოზის ნათლია გახდა უკრაინის მაშინდელ პრეზიდენტ ვიქტორ იუშენკოსთან ერთად.

გრიგოლ ვაშაძეს, რომელსაც მეტსახელად, თავისი მოგრძო ულვაშების ასოციაციით, „ტარაკანასაც“ ეძახიან, 2006 წელს მიშა სააკაშვილმა საქართველოს მოქალაქეობა უბოძა. შეიძლება გაგიკვირდეთ და ვაშაძე მაშინ კვლავ გახლდათ რუსეთის მოქალაქე, ამავე დროს საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრი 2008 წლიდან 2012 წლამდე, სანამ ბიძინა ივანიშვილის ხელმძღვანელობით ძირი არ შეერყა სააკაშვილის ბოგინს საქართველოში.

მოკლედ, კარგა ხანს არ თმობდა „ტარაკანა“ რუსეთის მოქალაქეობას, არც რუსეთის დუმის წევრებს ეთმობოდათ თურმე ამხანაგი გრიშა და არ სურდათ, მას რუსეთის მოქალაქეობა დაეთმო. სავარაუდოდ, „ერთ ქვაბში მირთმეული ფაფის“ გამო და ა. შ. თუმცა 2009 წელს ამხანაგმა გრიშამ ოფიციალურად მაინც მიმართა რუსეთის პრეზიდენტს მოქალაქეობის დათმობაზე და რუსული პასპორტიც გააგზავნა. თან დასძინა თურმე, „რუსეთი ჩემს გულში დარჩებაო“. სხვანაირად არც შეიძლება იყოს — სადაც გაგიტარებია ყმაწვილკაცობა, შეგიქმნია ახალგაზრდული ოჯახი, გყავს შვილი, გქონდა ბრწყინვალე კარიერა, შეიძლება ის წლები და ის ქვეყანა შენს გულში არ იყოს?!

მით უმეტეს, ზემოთ „ქვაბში ფაფის ჭამაზე“ რომ ვთქვი, ვგულისხმობდი იმას, რომ ვაშაძეს რუსეთში ისეთ სახელმწიფო უწყებებში აქვს ნამუშევარი, რომ მას არც სურს და არც შეუძლია მოწყდეს რუსეთს და თავის წარსულს, რადგან, როგორც ყოფილმა ცოლმა იცის ქმრის ლოგინის საიდუმლოებანი, ასევე კგბ-ს თანამშრომელზეც ყოფილი არ ითქმის, ის მუდამ მიბმულია სამსახურთან ინფორმაციულად და მენტალურად.

2008 წლის თებერვალში გრიგოლ ვაშაძე საგარეო საქმეთა სამინისტროს რუსეთის დეპარტამენტს ხელმძღვანელობს. ცნობილია, რომ მან აგვისტოს ომის წინა დღეებში რუსეთის მხარეს შესთავაზა, დამატებითი პოლიციური ძალები შეეყვანა აფხაზეთსა და ე.წ. სამხრეთ ოსეთში და არ შეეცვალათ რუსი მშვიდობისმყოფელები საერთაშორისო პოლიციური ძალებით.

ვაშაძის საქართველოში ჩამოყვანისთანავე ექსპერტები და ანალიტიკოსები აღნიშნავდნენ: „მისი თბილისში ჩამოსვლა ნიშნავს, რომ ხელისუფლება რუსული მიმართულებისკენ გადაიხარაო“. ამასვე ადასტურებდა მაშინ გაზეთი „კომერსანტი“ და დასძენდა: ამ კავშირებით რუსეთის საგარეო საქმეთა სამინისტრომ შემხვედრი ნაბიჯები გადადგაო.

მოკლედ, როგორც ზემოთ ვთქვი, გრიგოლ ვაშაძეს რუსეთის მოქალაქეობის დათმობა მოუხდა, თუმცა აღნიშნავდა: „მე აღარ ვარ რუსეთის ხელისუფლების ქვეშ, მაგრამ ხელისუფლებები მიდიან, რუსეთი და რუსი ხალხი კი რჩება...“

2009 წელს გრიგოლ ვაშაძეს რუსეთის მოქალაქეობა გაუუქმეს.

გარდა პოლიტიკური მოღვაწეობისა, გრიგოლ ვაშაძე მსხვილი ბიზნესკომპანიების მფლობელია. ის გახლავთ ხელმძღვანელი **“Georgia Arts Managment”**-ისა და **“Gregori Vashadze and BR”**-ისა.

ჯერ კიდევ 2000 წელს წერდნენ რუსეთში გრიგორი ვაშაძეზე, როგორც მედვინე-ბიზნესმენზე. გრიგოლ ვაშაძის ღვინის კომპანიამ გამოუშვა წინანდალში ღვინო „ანანიაშვილის“ საფირმო პარტიები.

გრიგოლ ვაშაძის, მეტსახელად „ტარაკანას“ შესახებ ამბობენ, რომ მას ფსიქიკური პრობლემები აქვს.

იმის მიუხედავად, რომ გრიგოლ ვაშაძეს პოლიგლოტს ეძახიან, ის ცუდად ფლობს ქართულ ენას.

რუსული პრესა წერდა: სა-

8 გვ.

პარლამენტის წინ მიმდინარე აქციები ეს იყო კვირიკაშვილის მიერ დაგეგმილი პროვოკაცია ბიძინა ივანიშვილის წინააღმდეგ

← 6 გვ.

დაუხამხამებლად „გადაუვლიან“ მთელ კავკასიას.

შემთხვევით არ დაუწყია შამბას ურთიერთობის აღდგენაზე საუბარი, ეს ინიციატივა რუსეთიდან მოდის. ეს უკანასკნელი ჯერაც არ გამოსულა იმ ხაფანგიდან, რომელშიც 2008 წლის პროვოკაციული ომის დროს აღმოჩნდა. იმას კი არ უნდა კითხულობდნენ, ვინ დაიწყო ომი, ის უნდა იკითხონ ვინ წააგო ეს პროვოკაციულად დაწყებული ომი. რა თქმა უნდა საქართველომ და რუსეთმა წააგო – ჩვენ ტერიტორიები დავკარგეთ, რუსეთმა კი სამშვიდობო მისიის შესრულების შესაძლებლობა.

რამდენად ჭკვიანურ პოლიტიკას გაატარებს რუსეთი და მისი პრეზიდენტი, ჯერ ვერაფერს მოგახსენებთ, მაგრამ ერთი ფაქტი აუცილებლად მინდა აღვნიშნო. პუტინის თურქეთში ვიზიტის დროს ერდოღანმა ხაზგასმით თქვა, რომ რუსეთის პრეზიდენტი მისი მეგობარია. მანამდე არაერთხელ იყო გაცხადებული თურქეთის ხელისუფლების მხრიდან, რომ ბათუმს თავიანთ ტერიტორიად თვლიან. პუტინიც თუ იტყოდა, ერდოღანი ჩემი მეგობარიაო, პოლიტიკის ენაზე ეს ნიშნავდა რომ „მწვანე შუქს“ უნთებდა მათ აჭარაში შემოსვლაზე. პუტინმა მკაცრად გასცა ოფიციალური პასუხი, ჩვენ თურქეთთან სახელმწიფოებრივი ურთიერთობა გვაქვსო, რითაც ცივი წყალი გადაასხა ერდოღანს. რუსეთის პრეზიდენტზე გაბრაზებულმა ერდოღანმა მერე ანტირუსული განცხადება გააკეთა, თუმცა მალევე დაშოშმინდა. ჩემი აზრით, პუტინმა თავისი ქვეყნისთვისაც სასარგებლო გადაწყვეტილება მიიღო თურქეთი ბათუმში რომ არ შემოუშვა. თურქეთი ნატოს წევრია, მისი საქართველოში შემოსვლა ნატოს შემოსვლას ნიშნავს, რაც რუსეთის ინტერესებში არანაირად არ ჯდება.

როგორც გითხარით, ირანთან ომი გარდაუვალია, ამიტომაც შემოდიან საქართველოში ასე მასიურად ირანელები. ესენი ლტოლვილები არ არიან, ჯიბესქელი ხალხია, ისვენებენ, ერთობიან. ირანთან ომს რომ დაიწყებას ამერიკა, ამ ირანელებს და სირიელებს, რომლებიც ასევე მრავლად არიან საქართველოში, ირანის წინაღმდეგ საბრძოლველად გაუშვებს. აქ ერთი მაგრამ არსებობს, 1946 წელს სტალინმა ირანთან ხელშეკრულება დადო, რომლის თანახმადაც, როგორც კი ირანში უცხო ძალა შევა, რუსეთს უფლება აქვს მთელი ირანის ოკუპაცია მოახდინოს. რამდენად გამოიყენებს ამ უფლებას რუსეთის დღევანდელი ხელისუფლება, ვერ გეტყვით, მაგრამ ასეთი ხელშეკრულება არსებობს, რომელზეც ორივე მხარეს აქვს ხელი მოწერილი. რაც შეეხება ანგელა მერკელის საქართველოში ვიზიტს, დარწმუნებული ვარ ეს საქართველოს ხელისუფლებაზე ზეწოლის მოხდენას ემსახურება, რომ რაც შეიძლება მეტი სირიელი ლტოლვილის მიღება გვაიძულონ.

მანანა სუხიშვილი
599 51 28 24

გრიგოლ ვაშაძის საიდუმლო

← 7 გვ.

ჯარო გამოსვლებისას, როგორც წესი, უაზროდ ლაპარაკობს, ნერვიულობს და მარჯვენა ხელით მუდმივად აწვალებს მარცხენა მხარეს პერანგის შესაკრავსო.

მაგრამ, მოდი, გვერდზე გადავდოთ ჩვენი შთაბეჭდილებები და საზოგადო მოსაზრებანი და „ნაცმოძრაობას“ და იმ 10 ოპოზიციურ პარტიას მოვუსმინოთ, გრიგოლ ვაშაძეს საუკეთესო საპრეზიდენტო კანდიდატად რომ გვთავაზობენ. ვინ ვინ და მათ და მათმა ლიდერმა, როგორც სოციალურ ქსელში უწოდებენ, „მფრინავმა ჰოლანდიელმა“ — სააკაშვილმა, ხომ მშვენივრად იცის, ვინ არის გრიგოლ ვაშაძე? მათ მოიწვიეს რუსეთიდან იგი და მისი პოლიტიკური კარიერის შესახებაც მშვენივრად უწყიან. რა გამოდის, თანამოაზრეები და მეტიც, თანამზრახველებიც არიან?!

მე წეღან შემთხვევით არ მიხსენებია სააკაშვილის დედის ძმა თემურ ალასანია, მიშას დამრიგებელი და მასწავლებელი, ერთადერთი კაცი, რომელიც თურმე ნერვიულ აღგზნებაში მყოფ სააკაშვილს აწყნარებს. როგორც თემურ ალასანია, გრიგოლ ვაშაძეც და სააკაშვილიც რუსეთის სპეცსამსახურების აგენტები არიან და საკუთარი ქვეყნის წინააღმდეგ ისეთ რაღაცებს კადრულობენ, რომ აშკარაა, ქვეყანა ფეხებზე ჰკიდიათ.

ექსპერტები ფიქრობენ, ვაშაძის გაპეზიდენტება რომ უნდა სააკაშვილს, ეს კიდევ ერთხელ მიანიშნებს იმაზე, რომ სააკაშვილი ორმაგი აგენტია და ვაშაძის პრეზიდენტობის კანდიდატად შემოთავაზება იმ რუსეთის კარნახით ხდება, რომელსაც თითქოსდა ებრძოდა და ებრძვის „ნაცმოძრაობა“ და მიხეილ სააკაშვილიო. სინამდვილეში ესენი ერთი მუძუთი გამოკვებილი კგბ-ს ლეკვები არიან, რომელთაც მითითება აქვთ — ლანძღონ რუსეთი, თან აკეთონ რუსული ინტერესების რუსული საქმე, ხოლო მათ, ვინც ქვეყნის ინტერესებიდან გამომდინარე ლაპარაკობს, „რუსეთუმეს“ იარლიყი უსირცხვილოდ მიაკერონ.

გრიგოლ ვაშაძე, რომელიც ადრე ქუთაისის მერობის კანდიდატად იყო დასახელებული „ნაცმოძრაობის“ მიერ და აცხადებდა „ქუთაისი საქართველოს დედაქალაქიაო“, მოგვიანებით ზაალ უდუმაშვილის საარჩევნო შტაბს მეთაურობდა, რამდენიმე კვირის წინ პრეზიდენტობის კანდიდატად თაკო ჩარკვიანმა წარუდგინა ქართულ საზოგადოებას და ხალხს. თაკო ჩარკვიანმა, პოეტ ჯანსუღ ჩარკვიანის ქალიშვილმა...

სულ ცოტა ხნის წინ ახალი დროების კგბ-ს ლეკვების წკმუტუნისგან თავმობეზრებულმა საზოგადოებისთვის ცნობილმა ერთმა ადამიანმა სოციალურ ქსელში დაწერა: „ვისაც გამძაფრებული პრეტენზია აქვს ევროპელობაზე, შევახსენებ, ვინ იყვნენ მათი მშობლები და უახლოესი ნათესავები — კომუნისტების დროს მწერალთა კავშირის მდივანი, „ცისკრის“ და „დროშის“ მთავარი რედაქტორი, საქართველოს ახალგაზრდულ ორგანიზაციათა კომიტეტის თავმჯდომარე (კომკავშირის „ლევი“ სტრუქტურა) ჯანსუღ ჩარკვიანი, მინისტრი და ყოფილი რაიკომის მდივანი ნოდარ ვაშაძე — გრიგოლ ვაშაძის მამა, ოთარ ნოდია — ცეკას მაღალჩინოსანი, სააკაშვილის ყოფილი განათლების მინისტრის გია ნოდიას მამა, კოლია შაშკინი — საკონსტიტუციო სასამართლოს წევრი, სააკაშვილის მინისტრის დიმიტრი შაშკინის მამა,

ნუგზარ გუნცაძე — დიდუბის რაიონის აღმასკომის ყოფილი თავმჯდომარე, ელენე ხოშტარიას ბაბუა, გივი ალასანია — სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის პრორექტორი, სააკაშვილის ბაბუა, თემურ ალასანია — საერთაშორისო ჩინოვნიკი, კგბ-ს ოფიცერი, სააკაშვილის ბიძა“.

ზემოთჩამოთვლილი კავშირების გარდა, ამ ფეისბუკ-პოსტმაც დაადასტურა, რომ საქართველოს დღესაც ძველი კადრები მართავენ. ისინი არსად არ წასულან, მამების ადგილი შვილებმა დაიკავეს და შვილი მამის კარგად გაკვალულ და გათელილ გზას გააგრძელებს, აბა, რას იზამს?!

როგორც სააკაშვილი აგრძელებს თავისი ბაბუის, „უღმერთოთა კავშირის“ დამაარსებლის გზას, ასევე გრიგოლ ვაშაძე თავისი მამის ნოდარ ვაშაძის კომუნისტურ იდეოლოგიას იზიარებს და საბჭოთა ელიტის წარმომადგენელია. ეს ხალხი, რომლებიც ვითომდა პროდასავლური ორიენტაციის ხალხია, სინამდვილეში, სსრკ-ს პირმშოები გახლავან. სსრკ მართავს დღესაც საქართველოს და ასეც უნდათ, რომ გაგრძელდეს...

შევარდნაძის აჩრდილი დადის საქართველოში.

შევარდნაძე მართავს საიქიოდან საქართველოს.

შევარდნაძე „ცოცხალია“ და, მგონი, ბრეჟნევიც...

მშობელი ხომ მაშინ კვდება, როცა შთამომავალი ივიწყებს?!

ვაშაძე პრეზიდენტობას აპირებს!

რატომაც არა, როცა აქვეა საბჭოთა მაღალჩინოსნის შთამომავალი მიშა და აქვე არიან რუსეთის პირდაპირი და ფარული აგენტები „ნაცმოძრაობიდან“?

ვლადიმერ სერგის ძე ალხიმოვის, საბჭოთა კავშირის გმირის უსაყვარლესი სიძე გრიგოლ ვაშაძე საქართველოს პრეზიდენტობას აპირებს, თან გაიძახის: დასავლური პოლიტიკური კურსი მიჭირავსო.

რუსული ფულით გამძღარი „ტარაკანა“ ქართველი ხალხის მოტყუებას აპირებს.

მართლაცდა: **«Блин, заебали, просто!..»**

ირანდა კალანდაძე
593 56 11 18

ნათელა მაღლაკელიძე:

გრიფირების კომისია ეროვნულ ცნობიერებას უტევს ძალიან... აი, ამან დამცა თავზარი...

განათლების სამინისტროს მიერ გამოცხადებული სახელმძღვანელოების გრიფირების პროცესი ხმაურისა და სკანდალების ფონზე მიმდინარეობს. არის თუ არა სახელმძღვანელოების გრიფირების დროს გამოვლენილი ფაქტები უბრალოდ, ხარვეზები თუ შეიძლება უფრო მძიმე შეფასებები გამოვიყენოთ, ამაზე განათლების მეცნიერებათა დოქტორი, ილიას უნივერსიტეტის პროფესორი ნათელა მაღლაკელიძე გვესაუბრა:

– სანამ უშუალოდ სახელმძღვანელოების თემას შევეხებოდე, მოკლედ გეტყვით, რომ ილიას უნივერსიტეტში მოვხვდი სულხან საბას უნივერსიტეტის რეორგანიზაციის შემდეგ, სადაც ქართული ენის და ლიტერატურის მეთოდიკათა კათედრის გამგე ვიყავი და ახლაც ქართული ენისა და ლიტერატურის მეთოდიკაში ვმუშაობ. ეს არის პედაგოგიური დარგის დისციპლინა, რომელიც ერთმანეთში აერთიანებს საგნობრივ კომპეტენციებს, ჩემს შემთხვევაში ფილოლოგიურ ცოდნას, ფსიქოლოგიას და განათლების მეცნიერებას. ასე, რომ მე ვარ ფილოლოგი, რომელიც იკვლევს რა უნდა ვასწავლოთ სკოლაში და როგორ უნდა ვასწავლოთ.

მე გახლავართ გოგებაშვილის მიმდევარი და მიმაჩნია, რომ „დედაენის“ იმ სახით გამოყენება, რა სახითაც 1912 წელს დიდმა პედაგოგმა დაგვიტოვა, ახალი მოთხოვნების პირობებში შეუძლებელია. შესაბამისად, აუცილებელია მისი ადაპტირება სიახლეებთან, რაც ჩემამდე სხვებმა გააკეთეს: 1944 წელს ნინო ბოცვაძემ და ეკატერინე ბურჯანაძემ, 1969 წელს კი ჩემმა მასწავლებელმა, პროფესორმა ვალერიან რამიშვილმა. ბოლოს ამის გაკეთება მეც გავბედე იმიტომ, რომ „დედა ენა“ დაერქვა წიგნს, რომელსაც გოგებაშვილის იდეებთან საერთო არაფერი ჰქონდა. გამომცემლობა „განათლების“ თხოვნით, 2000 წელს გადავამუშავე პროფესორ ვალერიან რამიშვილის „დედაენა“და მოსწავლეებს განახლებული სახით შევთავაზე. როცა წიგნს „დედაენა“ დავარქვით, მხედველობაში გვქონდა ის, რომ ძირითადი პრინციპები, რომლებიც დიდმა იაკობმა დანერგა, უცვლელად უნდა შეგვენარჩუნებინა. ამასთან, ყველანაირად ვეცადეთ, რომ სიახლეები და კლასიკა ერთმანეთისთვის შეგვეხამებინა და საუკეთესო წიგნი მიგვეღო. ალბათ, გამოგვივიდა კიდეც, რადგან ჩვენმა სახელმძღვანელომ 2006 წელს „დედაენის“ სახელმძღვანელოების კონკურსზე გაიმარჯვა, გრიფი მიიღო და სკოლაში შევიდა, გრიფი მიიღო 2011 წელსაც.

– წლევანდელი გრიფირების პროცესზე რა მოხდა?

– ამჯერად მინდა გესაუბროთ იმ დარღვევებზე, რომლებსაც წელს სახელმძღვანელოთა გრიფირების დროს ადგილი ჰქონდა. დავიწყებ იმით, რომ კონკურსი 2015 წელს უნდა გამოცხადებულიყო და 2017 წლის თებერვალში გამოცხადდა. მაშინ რატომღაც მეგონა, რომ სამინისტრომ კონკურსის ორგანიზებას თავი ვერ მოაბა, მაგრამ დღეს უკვე ეჭვი მიჩნდება, რომ ეს პროცესი შეგნებულად გაიწელა.

– რატომ?

– იმიტომ, რომ ვიღაცისთვის წიგნები დაწერის დრო მიეცათ. თებერვალში გამოგვიცხადეს კონკურსი, რაც გულისხმობდა, რომ სექტემბრის ბოლოს უნდა ჩაგვებარებინა ქართული ენისა და ლიტერატურის სახელმძღვანელოები 1–6 კლასებისათვის. ანუ 20 წიგნი უნდა გაგვეკეთებინა თებერვლიდან სექტემბრის ბოლომდე, რაც ადვილი არ გახლავთ, მითუმეტეს, რომ კონკურსთან დაკავშირებით ტექნიკური პარამეტრები მხოლოდ ივნისის ბოლოს დაიდო, რამაც კიდევ უფრო გაგვირთულა მუშაობა. რა თქმა უნდა, დროში შეზღუდულები ვიყავით და შეიძლება ბევრი ტექნიკური თუ კორექტურული უზუსტობები გაიპარა, მაგრამ ღამეები ვათენეთ და მივაღწიეთ, რომ ამ წიგნებისთვის საჭირო სახე მიგვეცა. ჩემი ყველაზე დიდი გაოცება გამოიწვია იმან, რომ ჩვენ, ავტორებს, წიგნების დასაწერად 4 თუ 5 თვე მოგვცეს და ექსპერტებს ამ წიგნების წასაკითხად მისცეს 6 თვე. 2018 წლის აპრილის ბოლოს მოვიდა ექსპერტების პირველი დასკვნები, ისიც მხოლოდ I–IV კლასებზე, 5–6 კლასის სახელმძღვანელოების შესახებ კი მოკლედ ეწერა: ვერ გადალახა ბარიერი და კონკურსს გამოეთიშაო.

– გასაჩივრება არ გიცდიათ?

– ამ წიგნებზე დასკვნა მივიღე მხოლოდ აპელაციის დღეს, როცა აპლეციის დასრულებამდე სამი საათი იყო დარჩენილი. ამ სამ საათში რისი გაპროტესტება უნდა მოგვესწრო? თუმცა, დრო კიდეც რომ გვქონოდა, გასაჩივრებას ვერ შევძლებდით, რადგან დღემდე არ ვიცი რომელ კომპონენტში რამდენი ქულა დავიმსახურე. არ ვიცი იმიტომ, რომ სამინისტრომ ამის შესახებ გამომცემლობას მიაწოდა ე.წ. ნედლი ქულები. „ნედლი ქულა“.. სუფთა წონა.. გამაგებინეთ, „ნედლი ქულით“ რეალური ქულა მე რატომ უნდა გამოვთვალო?

– 1–4 კლასის სახელმძღვანელოების შემთხვევაში რა მოხდა?

– რაც შეეხება 1–4 კლასების სახელმძღვანელოებს, მე მათმა დასკვნებმა უფრო აღმაშფოთა, იმდენად არაპროფესიულად იყო დაწერილი. სამინისტრო ხომ იმით ტრაბახობს, რომ გრიფირების პროცესი ანონიმურია და ექსპერტმა არ იცის ვის წიგნს კითხულობს? სულ ტყუილად, რადგან ჩემთან მიმართებაში ანონიმურობა დაცული არ იყო. 5–6 კლასის სახელმძღვანელოზე პირდაპირ მიწერდა ექსპერტი, ძველი დაგიტოვებიათ, ახალი რომელიც დაამატეთ, არ მომწონს და ა.შ. ახლებში არ მოწონს იცით რა? რევაზ ინანიშვილი, ნოდარ დუმბაძე, გოდერძი ჩოხელი.. სამაგიეროდ, ექსპერტები ჩვენთვის ბოლომდე ანინიმურებად დარჩნენ. დღემდე არ ვიცით, ვინ წაიკითხა ჩვენი ნამუშევარი, რა დონის ექსპერტი იყო, რა კომპეტენციები ჰქონდა და რამდენად ჰქონდა ექსპერტობის უფლება. არ გვქონდა მათთან კომუნიკაციისა და ჩვენი აზრის დასაბუთების შესაძლებლობა. აღსანიშნავია, რომ ექსპერტის ორ აბზაციან ნაწერში ცხრა ენობრივი შეცდომა ვიპოვე. აქედან სამი პუნქტუაციური, სამი გრამატიკული და ორი სინტაქსური. ამ შეცდომებში ბავშვებს ერთიან ეროვნულ გამოცდებზე ქულებს აკლებენ და ექსპერტი ასეთი ენობრივი შეცდომებით დაწერილ დასკვნას მთავაზობს..

ერთგან მიწერენ, რომ ძალიან ცოტა შეფასების ფორმა გაქვთ წარმოდგენილი, როცა შეფასების 18 სქემა მაქვს, თუმცა ყველაზე დიდი კრიტიკა დაიმსახურა „დედაენამ“, რომელსაც, სამწუხაროდ, ეს სახელიც წაართვეს. მოსწავლეთა ასაკისთვის შეუფერებელი დავალებები და ტექსტებია შეტანილიო.

– თუ დაასაბუთეს, რომელი ტექსტები და რატომაა მოსწავლეთა ასაკისთვის შეუფერებელი?

– საუბარია გოგებაშვილის „მენავეებზე“, „მუქთამჭამელაზე“, „ერთი და ორზე“ და „უსუნო ყვავილზე“. „მენავეები“ არ მოწონთ იმიტომ, რომ თანამედროვე ცხოვრებისთვის დამახასიათებელი ეპიზოდები არ არის შეტანილიო. სინამდვილეში, როგორც ვხვდები, ექსპერტების აღშფოთება გამოიწვია ფრაზამ – „მენავეები მოყვნენ ლოცვას, ღმერთს ევედრებოდნენ, გადაგვარჩინეო“. „ერთი და ორი“ არ მოწონთ იმიტომ, რომ თურმე დღევანდელი ბავშვისთვის უარყოფითი მესიჯების შემცველია და ეს ბავშვის უფლებებს არღვევს. ძალიან არ მოწონთ ტერმინი მშობლიური ენა. ეს ბავშვის უფლებების დარღვევაა, იმიტომ, რომ არსებობენ ბილინგვური ბავშვებიო.

– ამის გამო „დედაენაზე“ უარი უნდა ვთქვათ?

– ეს მათ უნდა ჰკითხოთ. ბავშვის უფლებების დარღვევაა თურმე, რომ დედა შვილს მხოლოდ კარგ ამხნაგებთან მეგობრობას ურჩევს და ასეთი უამრავი „შედევრი“ შემიძლია დაგისახელოთ.. ექსპერტი იყო მხარე და ადგილი ჰქონდა ინტერესთა კონფლიქტს. აღარაფერს ვიტყვი იმაზე, რომ გრიფირების პროცესში ჩემს წინააღმდეგ ძალიან დიდი შავი პიარი აგორდა, რაც მაფიქრებინებს, რომ ყველაფერი იყო წინასწარ დაგეგმილი, რომ ამ წიგნებს გრიფი არ მიეღოთ.

– სამაგიეროდ, გრიფი მიიღო სახელმძღვანელომ, რომელშიც ორ ღორზე ლექსი შეიტანეს..

– დიახ, ამ წიგნმა წარმატებით მიიღო გრიფი და ყველაზე მეტი ქულები დააგროვა. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ აუცილებლად უნდა გასაჯაროვდეს ექსპერტთა დასკვნები და უნდა გავიგოთ, იყვნენ თუ არა ისინი მიკერძოებულები.

– სახელმძღვანელოების გრიფირება და სკოლებში შეტანა სოლიდურ ფულთან არის დაკავშირებული. არც თუ იშვიათად, ამ პროცესების უკან კორუფციული გარიგებები დგას, ამიტომ უფრო საეჭვოა გრიფირების პროცესის ასეთი გაუმჭვირვალობა.

– წარმოიდგინეთ, რომ ასეთი გაუმჭვირვალობა არასოდეს ყოფილა.წინა წლებში ჩვენ ყოველთვის გვქონდა ექსპერტებთან შეხვედრის და ჩვენი აზრის გაზიარების შესაძლებლობა. ახლა ექსპერტმა თუ დაგიწერა, უაპელაციოდ უნდა მიიღო და მორჩა. არავითარი შეხვედრა და დასაბუთება. მოდი, გვერდით გადავდოთ ჩემი ავტორობა და წიგნები. როგორც ამ დარგის სპეციალისტს და ექსპერტს, რომელსაც უამრავი მაგისტრანტი და დოქტორი გამიზრდია და უამრავი დასკვნა დამიწერია, ყველაზე დიდი აღშფოთება და გულისტკივილი იმის გამო მაქვს, რომ ეროვნულ ცნობიერებას ძალიან უტევენ.

– იქნებ დაგვიკონკრეტოთ, რას გულისხმობთ და რაში გამოიხატება ეროვნულ ცნობიერებაზე შეტევა?

– მაგალითად, პირველ კლასის სახელმძღვანელოში ხომ დაიწუნეს იაკობ გოგებაშვილის ტექსტები და ტერმინი „მშობლიური ენა/დედაენა“? მეოთხე კლასშიც მთავაზობდნენ – ამოიღეთ გოგებაშვილის ტექსტი „შოთა რუსთაველი“, იმიტომ, რომ ფრაზა: „ამ ნაწარმოებს აზის გენიოსობის ბეჭედი“ ბავშვისთვის რთული აღსაქმელიაო. ილია ჭავჭავაძის „გლახის ნაამბობიდან“ პატარა, ადაპტირებული ნაწყვეტი მქონდა სწავლის მნიშვნელობაზე და ამოიღეთო. ამოიღეთ აკაკი წერეთლის მიერ ჩაწერილი ზღაპარი (ასევე სწავლისა და ცოდნის მნიშვნელობაზე), საინფორმაციო სტატია „საიდან ვიცით ჩვენი ქვეყნის ისტორია“, გიორგი ლეონიძის შესანიშნავი ლექსი სამშობლოს სიყვარულზე „სიყვარული მაშ გაქვს ვისი?“, მარტივი საინფორმაციო ტექსტი „თავგადასავალი დავით გურამიშვილისა“, და ა.შ.

– ყველა ეს ტექსტი რთულად აღსაქმელი და ბავშვებისთვის შეუფერებელია?

– სინამდვილეში, ყველა ეს ტექსტი აპრობირებულია, პილოტირებულია და გამოცდილია სწავლების პროცესში. მე არც ერთი მასწავლებლისგან არ მსმენია, რომ საინფორმაციო ტექსტი „საიდან ვიცით ჩვენი ქვეყნის ისტორია“ რთულია, ბავშვებს არ აინტერესებთ და ამიტომ უნდა ამოვიღოთ, ან რთულია გიორგი ლეონიძის პატრიოტულ თემაზე შექმნილი ლექსი „სიყვარული მაშ გაქვს ვისი“ და ა.შ. მე-5- მე 6-ე კლასის სახელმძღვანელოდან უნდა ამოვიღოთ ნოდა დუმბაძის „ხაზარულა“, რევაზ ინანიშვილი, გოდერძი ჩოხელი.. აი, ამან დამცა თავზარი.. ქართველ მწერლებს მინდა ვკითხო – ვიღასთვის წერენ ისინი თავიანთ ნაწარმოებებს, თუ წამკითხველი არ ეყოლებათ?

ნელი თორდია
571 35 36 88

ძლიერი რეგიონები

თეთრიწყარო

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში

● მუნიციპალიტეტის მერიაში გაიმართა ადგილობრივი ეკონომიკური განვითარების გეგმის შედგენაზე მომუშავე ჯგუფის შეხვედრა, რომელზეც სამუშაო ჯგუფის წევრებმა განიხილეს პრიორიტეტული მიზნები და იმსჯელეს მუნიციპალიტეტის განვითარების პერსპექტივებზე.

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტი 2018 წლიდან შეუერთდა ევროკავშირის ინიციატივას „მერები ეკონომიკური ზრდისთვის“ (M4EG), რომელიც მიზნად ისახავს აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში (სომხეთი, აზერბაიჯანი, ბელარუსი, საქართველო, მოლდოვა, უკრაინა) ეკონომიკური განვითარების პროცესის და ახალი სამუშაო ადგილების შექმნისთვის ადგილობრივი ხელისუფლების მხარდაჭერას.

სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში შედიან თვითმმართველობის ორგანოების წარმომადგენლები და ადგილობრივი მეწარმეები.

● სოფელ ჭივჭავში მიმდინარეობს ახალი კომბინირებული სპორტული მოედნის მოწყობა, სოფელ გოლთეთში – არსებული სპორტული მოედნის რეაბილიტაცია.

● ადგილობრივი მეწარმე ზვიად სუხიტაშვილი სოფელ ჯორჯიაშვილში რამდენიმე სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ობიექტს ფლობს და წარმატებით ეწევა საქმიანობას.

ქ. თეთრიწყაროს მიმართულებით მიმავალი მგზავრის ყურადღებას აუცილებლად მიიქცევს სოფლის ცენტრში მდებარე ყველასთვის კარგად ცნობილი მარკეტი და მცირე აგრობაზარი, სადაც ადგილობრივებს გასაყიდად გამოაქვთ სოფლის მეურნეობის ნატურალური პროდუქტები, ბოსტნეული და რძის ნაწარმი.

ბაზართან ახლოს მდებარე სუპერმარკეტში დაინტერესებულ პირებს შეუძლიათ ადგილზე გაეცნონ ქართული თონის პურის ცხობის პროცესს. მეწარმე სამომავლოდ ჩურჩხელისა და სხვადასხვა სახის საკვები პროდუქტების წარმოებასაც გეგმავს.

● თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის სოფელ ბოგვის მიმდებარედ გაიხსნა სასტუმრო-რესტორანი „Elite“. რესტორანი მომხმარებელს სთავაზობს დასვენების სრულ პაკეტს: კომფორტულ სასტუმროს, რომელიც ამ ეტაპზე 8 მომხმარებელზეა გათვლილი, რესტორანს, რომელიც 250-მდე სტუმარს მოემსახურება, ბავშვთა გასართობ მოედანს, აუზს, ტბას. ობიექტზე დასაქმებულია 7 ადამიანი.

ჩოხატაურის მუნიციპალიტეტში

● სოფელ ჩხაკაურაში, მაღალმთიანი სტატუსის მქონე სოფლებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის დაფინანსებით შიდასასოფლო გზებზე ბეტონის საფარი იგება.

● საქართველოს პარლამენტის წევრის, ნინო წილოსანის ინიციატივით, ბახმაროში დასუფთავების აქცია გაიმართა, რომელშიც მონაწილეობდნენ ჩოხატაურის მერი, ჩოხატაურისა და ლანჩხუთის საკრებულოების წევრები, მერიის სამსახურები: ა(ა)იპ კომუნალური სამსახური „სხივი“, ა(ა)იპ კურორტი „ბახმარო“, ჩოხატაურელი ახალგაზრდები.

გურჯაანის მუნიციპალიტეტში

● სოფელ ბაკურციხეში ე.წ. „სამადაანთ უბნის“ გზის რეაბილიტაცია დასრულდა. პროექტის ფარგლებში მოასფალტდა 500 გრძივი მეტრი, მოეწყო სანიაღვრე არხი 230 მეტრზე, აგრეთვე ეზოებში შესასვლელები.

სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა არჩილ ხანდამაშვილმა სოფელ ბაკურციხეში მერის წარმომადგენელ გიორგი ბერიძიშვილთან ერთად დაათვალიერა.

პროექტი რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის და ადგილობრივი ბიუჯეტის თანამონაწილეობით დაფინანსდა.

● სოფელ არაშენდაში წყლის ჭაბურღილი შენდება. სამუშაოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან ადგილობრივი ბიუჯეტის თანამონაწილეობით ფინანსდება. ახალი ჭაბურღილი წყლით სოფლის ცენტრალურ უბანს და 250-მდე ოჯახს მოამარაგებს.

● სოფელ კოლაგში ჭაბურღილი შენდება, რომელიც რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდმა და ადგილობრივმა ბიუჯეტმა 114 925 ლარით დააფინანსა. ახალი ჭაბურღილის ამოქმედება მნიშვნელოვნად გააუმჯობესებს სოფლის წყალმომარაგებას, რადგან ამ წყლით 6 უბანი მარაგდება.

დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში

● ქ. დედოფლისწყაროში, ვაჟა-ფშაველასა და კახეთის ქუჩებზე მიმდინარეობს გზის რეაბილიტაცია. აღნიშნულ მონაკვეთებზე იგება ასფალტის საფარი და ეწყობა სანიაღვრე სისტემა.

ქ. დედოფლისწყაროში წელს გზის სრული სარეაბილიტაციო სამუშაოები ლეონიძის, ევდოშვილის, თამარის ქუჩებსა და 9 ძმის პირველ შესახვევშიც იგეგმება.

● ზემო ქედის მეორე საჯარო სკოლის სრულ რეაბილიტაციას აშშ-ის „ათასწლეულის გამოწვევის კორპორაცია“ (Millennium Challenge Corporation – MCC) ახორციელებს. კორპორაციისა და საქართველოს მთავრობის ერთობლივი პროექტის ფარგლებში სკოლის ინფრასტრუქტურა და ლაბორატორიები წლის ბოლოსთვის სრულად განახლდება.

● ღვინის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელები დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტის მერს, ნიკოლოზ ჯანიაშვილსა და ადმინისტრაციულ ერთეულებში მერის წარმომადგენლებს შეხვდნენ. შეხვედრაზე რთველის ორგანიზებულად და წარმატებით ჩატარებისთვის საჭირო ღონისძიებებზე იმსჯელეს. დედოფლისწყაროს მუნიციპალიტეტში რთველი-2018 მომავალ კვირას დაიწყება.

ლაგოდეხის მუნიციპალიტეტში

● ინტენსიური წვიმების შედეგად მუნიციპალიტეტის რამდენიმე მდინარის კალაპოტი შეიცვალა. მერმა ჯონდო მდივნიშვილმა, საქართველოს საავტომობილო გზების დეპარტამენტის ნაპირდაცვის სამსახურის წარმომადგენლებთან და კახეთის გუბერნატორის მოადგილე გივი მეტრეველთან ერთად, მდინარე ლაგოდეხის ხევი, „შრომის ხევი“, „ნინოს ხევი“, „ჭვარტლის ხევისა“ და „ბაისუბნელას“ კალაპოტები დაათვალიერა. მდგომარეობის გაცნობის შემდეგ მომავალი ნაპირსამაგრი და კალაპოტების გაწმენდითი სამუშაოების განხორციელებაზე იმსჯელეს.

● მუნიციპალიტეტის მერი მოსახლეობასთან საინფორმაციო შეხვედრებს განაგრძობს. ჯონდო მდივნიშვილი ამჯერად სოფ. ზემო ბოლქვის მოსახლეობას შეხვდა და ადგილობრივებს ის კონკრეტული პროექტები გააცნო, რომელთა განხორციელება მიმდინარე წელს მათს სოფელში იგეგმება.

უახლოეს მომავალში აქ ახალი ჭაბურღილი ამუშავდება. საამისოდ ადგილობრივი ბიუჯეტიდან 52 480 ლარი დაიხარჯება. სამუშაო სექტემბერში დასრულდება და ადგილობრივ მოსახლეობას სასმელი წყლის პრობლემა მოუგვარდება.

სოფლის მკვიდრთ გარე განათების პრობლემაც აწუხებთ, რის მოგვარებასაც მერი მათ უახლოეს პერიოდში დაჰპირდა.

სიღნაღის მუნიციპალიტეტში

● სიღნაღის მუნიციპალიტეტის ქალაქ წნორში საზოგადოებრივი ცენტრის მშენებლობა მიმდინარეობს. სამუშაოები სიღნაღის მუნიციპალიტეტის მერმა გიორგი გოგილაშვილმა, მერის პირველმა მოადგილემ მადონა ბატიაშვილმა, სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტოს ინფრასტრუქტურის მონიტორინგის მთავარ სპეციალისტ ლაშა აბაშიძესთან ერთად დაათვალიერეს.

საზოგადოებრივი ცენტრის მეშვეობით, მოსახლეობას ექნება საშუალება, სოფლიდან გაუსვლელად ისარგებლოს 200-ზე მეტი საჯარო და კერძო სექტორის სერვისით. თანამედროვე ინფრასტრუქტურითა და უახლესი ტექნიკით აღჭურვილ სივრცეში ხელმისაწვდომი გახდება უფასო ინტერნეტი, კომპიუტერები, ვიდეოკონფერენციის აპარატურა და თანამედროვე ელექტრონული ბიბლიოთეკა. ცენტრში განთავსდება მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლის ოფისი. აქ დასაქმდებიან საგანგებოდ შერჩეული და გადამზადებული ადგილობრივი კადრები, რომლებიც ელექტრონული მმართველობის საშუალებით ცენტრალური ხელისუფლებისა და კერძო სექტორის სერვისებს გასცემენ.

ცენტრის მშენებლობა მიმდინარე წლის ივლისში დაიწყო და ნოემბრის თვეში დასრულდება

დუშეთის მუნიციპალიტეტი

● მუნიციპალიტეტის მჭადიჯვრის ადმინისტრაციული ერთეულის სოფელ ოძისში დასრულდა დავით და გიორგი ერისთავების სახლ-მუზეუმის რეაბილიტაციის პირველი ეტაპი – მოწესრიგდა სასახლის სახურავი და შენობის ჩრდილო-აღმოსავლეთის აივნები. ამჟამად მიმდინარეობს სარემონტო სამუშაოების მეორე ეტაპი.

● გუდამაყრის ადმინისტრაციულ ერთეულში დასრულდა ინფრასტრუქტურული სამუშაოები – სოფ. მაქართა-ლუთხუბის დამაკავშირებელი ხიდის რეაბილიტაცია და ნაპირსამაგრი გაბიონები, გაიწმინდა მდინარის კალაპოტი, რასაც წლების განმავლობაში ითხოვდა ადგილობრივი მოსახლეობა.

● მუნიციპალიტეტში მიმდინარეობს სკოლამდელი აღზრდის ცენტრის, ქ. დუშეთის №№1, 2, 3, ქვეშეთის, არაგვისპირის, ჟინვალის, ბაზალეთის, გრემისხევისა და მაღაროსკარის ფილიალების რეაბილიტაცია.

გურჯაანი

ძლიერი საქართველოსთვის

ზუგდიდი

ზუგდიდის მუნიციპალიტეტში

● ახალი სასწავლო წლიდან შოთა მესხიას სახელობის ზუგდიდის უნივერსიტეტის სტუდენტები და პროფესორ-მასწავლებლები, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული საჯარო სკოლების პედაგოგები, საბიუჯეტო ქსელის სახელოვნებო სკოლები, სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებების პედაგოგები, აღმზრდელ-მასწავლებლები და ტექნიკური მუშაკები მუნიციპალური ტრანსპორტით უფასოდ იმგზავრებენ. ამ მომსახურებაზე 20 000 ლარი დაიხარჯება.

● უხვმა ნალექმა ზუგდიდის მუნიციპალიტეტი დააზარალა. ამჟამად აბასთუმანის ადმინისტრაციულ ერთეულში უხვი ნალექის შედეგად დაზიანებული ხიდის აღდგენა მიმდინარეობს. სამუშაოებში ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე გია გულორდავა ჩაერთო.

● საავტომობილო გზის რეაბილიტაციის მეორე ეტაპი დასრულდა ცაიშისა და ცაცხვის ადმინისტრაციულ ერთეულებში (კურორტის მონაკვეთი). რეაბილიტირდა 1023 მეტრი სიგრძისა და 6 მეტრი სიგანის გზა. დაიგო ასფალტბეტონის საფარი. პროექტის ღირებულება 437 000 ლარია.

პროექტები საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდისა და ზუგდიდის მუნიციპალიტეტის მერიის დაფინანსებით განხორციელდა.

მუნიციპალიტეტის მერმა ლაშა გოგიამ, საკრებულოს თავმჯდომარე მამუკა წოწერიასთან და ზედამხედველობისა და არქიტექტურის სამსახურის უფროს ლაშა ჯაიანთან ერთად ჭითაწყარსა და ცაცხვში რეაბილიტირებული გზები დაათვალიერა.

მარტვილის მუნიციპალიტეტში

● ქალაქ მარტვილში ასფალტბეტონის საფარი ამჟამად წერეთლის ქუჩაზე იგება. პროექტი ასევე მოიცავს თამარ მეფის, ოქტომბრის, ნ. გეგიას, შეროზიას, დადიანისა და კალინინის ქუჩების რეაბილიტაციას. ჯამში ასფალტბეტონის საფარი დაიგება 3 500 მეტრზე. პროექტის ღირებულება 607 995 ლარს შეადგენს. ქალაქ მარტვილში შიდა საავტომობილო გზების ა/ბეტონის საფარით რეაბილიტაცია საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდის და ადგილობრივი მუნიციპალიტეტის დაფინანსებით ხორციელდება. მიმდინარე სამუშაოებს მარტვილის მუნიციპალიტეტის მერის პირველი მოადგილე დავით სურმავა გაეცნო.

სენაკის მუნიციპალიტეტში

● უშაფათის ადმინისტრაციულ ერთეულში აქტიურად მიმდინარეობს სტიქიის შედეგად დანგრეული უშაფათისა და ეკის დამაკავშირებელი კაპიტალური ხიდის აღდგენითი სამუშაოები. ამ ეტაპზე უკვე მონტაჟდება ხიდის კონსტრუქცია.

● მუნიციპალიტეტის მერმა ლევან კუპრეიშვილმა და მერის პირველმა მოადგილემ გრიგოლ ბაღათურიამ ლეძაძამე-კვაუთის დამაკავშირებელი დროებითი ხიდის მოწყობის სამუშაოები ადგილზე დაათვალიერეს.

ამ ეტაპზე მიმდინარეობს ხიდამდე მისასვლელი გზის მოხრეშვა. როგორც კი დროებითი ხიდისთვის ბურჯები მოეწყობა, ხიდის კონსტრუქცია დამონტაჟდება და მოსახლეობა განახლებული ხიდით ისარგებლებს.

ძლიერი წვიმის შედეგად ადიდებულმა მდინარე ტეხურმა ლეძაძამე-კვაუთის საავტომობილო ხიდი დაანგრია და 80-მდე ოჯახი გარე სამყაროს მოსწყვიტა.

● ინფრასტრუქტურის სამინისტროში შიდა და ქვემო ქართლში განსახორციელებელი პროექტების ბიუჯეტი თვითმმართველობებთან ერთად განიხილეს. მინისტრი მაია ცქიტიშვილი და მისი მოადგილეები შიდა და ქვემო ქართლის გუბერნატორების მოვალეობის შემსრულებლებს, 11 მუნიციპალიტეტის მერებსა და თვითმმართველობების წარმომადგენლებს შეხვდნენ.

კომპლექსურად განხილულ თემებს შორის განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდა რეგიონებში მიმდინარე და დაგეგმილ პროექტებზე, სოციალური ინფრასტრუქტურის მოწესრიგებასა და შემდგომი ექსპლუატაციის საკითხებზე.

ბოლნისის მუნიციპალიტეტში

● ქალაქ ბოლნისის რამდენიმე უბანში გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები მიმდინარეობს. დაზიანებულ ქუჩებზე ასფალტს ახალი ქვაფენილი ჩაანაცვლებს.

სამუშაოები მუნიციპალიტეტის მერმა დავით შერაზადიშვილმა თვითმმართველობის სხვა წარმომადგენლებთან ერთად დაათვალიერა.

ადგილობრივი ბაზალტით წისქვილის ქუჩის 60 და კოსტავას ქუჩის 220 გრძივ მეტრზე ქვაფენილი მოეწყობა. ასევე მოპირკეთდება ფარნავაზ მეფის ჩიხი.

დასაქმებულია ადგილობრივი კადრები. სამუშოები რეგიონებში განსახორციელებელი პროექტებისა და ადგილობრივი ბიუჯეტის თანადაფინანსებით ხორციელდება.

● მუნიციპალიტეტის მერი დავით შერაზადიშვილი, ბოლნისის მაჟორიტარ დეპუტატ გოგი მეშველიანთან და თვითმმართველობის სხვა ხელმძღვანელ პირებთან ერთად, სოფელ ტალავრის მოსახლეობას შეხვდა და მათი პრობლემები მოისმინა.


სენაკი

დმანისის მუნიციპალიტეტში

დმანისის მუნიციპალიტეტში ტენდერები გამოცხადდა შემდეგი პროექტების შესყიდვაზე:

● სოფ. გომარეთში ბეტონის სანიაღვრე არხის მოწყობა და შიდა გზის სარეაბილიტაციო სამუშაოები;

სოფ. ბოსლებში გზის მოხრეშვა-მოასფალტება და სანიაღვრე არხის მოწყობა;

სოფ. ჯავახში სანიაღვრე არხებისა და შიდა გზების სარეაბილიტაციო სამუშაოები.

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება – 704035 ლარი.

● დიდი დმანისის-დმანის-გომარეთი-ბედიანის გზიდან სოფელ უსეინქენდი, სალამალეიქი, მამიშლარის მისასვლელი გზის რეაბილიტაცია;

ბოლნისი

სოფ. საკირეში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია და სანიაღვრე არხის მოწყობა.

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება – 981000 ლარი.

● ქ. დმანისში 26 მაისის ქ. №15-ის მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის ფასადის სარეაბილიტაციო სამუშოები.

შესყიდვის სავარაუდო ღირებულება – 174044 ლარი.

მარნეულის მუნიციპალიტეტში

● სოფელ ალგეთში გზის აღდგენითი სამუშაოები მიმდინარეობს. დაიგება 1591 გრძ/მ გზა. სამუშაოების სახელშეკრულებო ღირებულება 219 743 ლარს შეადგენს.

● მარნეულსა და ბოლნისში წყალმომარაგება-წყალარინების თანამედროვე ინფრასტრუქტურა მოეწყობა. მარნეულის წყალმომარაგება-წყალარინებისა და ბოლნისის წყალარინების სისტემების მშენებლობაზე საერთაშორისო ტენდერი მიმდინარეობს.

სატენდერო წინადადებების მიღების ვადა 13 აგვისტოს ამოიწურა. საერთაშორისო ტენდერში მონაწილეობის მიღება პრეტენდენტებს აზიის განვითარების ბანკის (ADB) წევრი ქვეყნებიდან შეეძლოთ.

● მარნეულის მუნიციპალიტეტში, სოფელ წერეთელში არსებული 9 აპრილის სახელობის სკვერის რეკონსტრუქცია-რეაბილიტაციის სამუშაო აქტიურად მიმდინარებს. პროექტით წარმოდგენილი კონცეფცია მოსახლეობის ინიციატივით, ჩართულობითა და იდეებით არის მომზადებული.

პროექტის ფარგლებში დაგეგმილია ტერიტორიის ზონებად გამიჯვნა, კერძოდ კი გამოიყოფა მემორიალის ისტორიული ზონა და ყოველდღიური თანამედროვე ზონა. პირველ ზონაში 9 აპრილის მემორიალს ჩაუტარდება რესტავრაცია და მოპირკეთდება. გათვალისწინებულია არსებული განათების დიზაინის განახლება-შეცვლა, საპროექტო ტერიტორიის ღობის გაახლება და რეკონსტრუქცია.

მეორე ზონა დაიყოფა რამდენიმე ნაწილად, სადაც იქნება აუზი, ყვავილების გაზონი, სასმელი წყლის შადრევანი, სპორტული აქტივობების სივრცე, საბავშვო ატრაქციონები, სამკითხველო, განსაკუთრებული განათება, სცენა, ტრიბუნის ტიპის სივრცე მაყურებლისთვის, ახალი ხე-ნარგავები...

ბლოქჩეინი კეშას ბლოგში

ეფემია ცაცანაძე

დიდხანს ვფიქრობდი, როგორ დამეწერა ეს წერილი, ერთ ადამიანზე მომეთხრო, ადამიანებზე მომეყოლა, ტექნოლოგიაზე მესაუბრა, ქართველების ნიჭიერებაზე, ქართველების უმადურობაზე, თუ იმაზე, როგორ შეგვიძლია ქართველებს მთელი დუნიის გადარევა.

საბოლოოდ, მივხვდი, ძალიან მარტივია, ისე უნდა დავწერო, როგორც არის სინამდვილეში.

ისე მოხდა, რომ ერთხელ, რედაქტორმა, ბატონმა ვახტანგ ხარჩილავამ მთხოვა, მოდი, გადახედე საჯარო რეესტრის ყოფილი უფროსის, პაპუნა უგრეხელიძის წინააღმდეგ გაჟღერებულ ბრალდებებს, რაღაც მანდ სუფთად არ უნდა იყოსო.

საჯარო მოხელეების მიმართ დიდი სიმპათიებით არასოდეს ვარ განწყობილი და მზად ვიყავი, ცუდი სტატიის დასაწერად, მაგრამ რაც მეტს ვეძიებდი და ვკითხულობდი, რაც მეტ მასალას ვეცნობოდი — მით უფრო და უფრო მიქრებოდა ენთუზიაზმი. გრიგოლიას გადაცემამ და ნანუაშვილის დასკვნამ — სრულად დამარწმუნა. საბოლოოდ, საქმე „გავხსენი“, დავასწარი მე სასამართლოს და განაჩენიც დავდე — ეს იყო ინფორმაციული ტერორიზმი, რომელიც ჩვენ „ვჭამეთ“ და ის საჯარო მოხელე დავკარგეთ, რომლის გაკეთებულ საქმეებზეც, თურმე, მსოფლიო ლაპარაკობს.

რამდენიმე კვირის წინ, საერთაშორისო საინფორმაციო პორტალმა გაავრცელა ინფორმაცია, რომ „GeoBlockchain”-მა და ამერიკულმა “BLOCCELERATE”-მ ინოვაციური ტექნოლოგიების და ბლოქჩეინ განვითარების მიზნით ალიანსი შექმნეს. გამოიცანით, ვინ არის „ქართული ბლოგჩეინის“ დამფუძნებელი — კი, პაპუნა უგრეხელიძე — უკვე ყოფილი საჯარო მოხელე — პაპუნა უგრეხელიძე.

მას შემდეგ, ბევრი ადამიანი მწერს და მეკითხება, ხომ არ ვიცი, რა არის ბლოქჩეინი, ხომ არ შემიძლია გავიგო, ხომ არ შემიძლია ვკითხო პ. უგრეხელიძეს: — როგორ მოახერხა მსოფლიოს ალაპარაკება.

არა მგონია, მორალური უფლება გვქონდეს, უგრეხელიძეს ახლა ვკითხოთ, რა გააკეთა ასეთი საჯარო რეესტრში წლების მანძილზე, რომ მისით უამრავი უცხოური კომპანიაა დაინტერესებული. ვეცდები, ბლოქჩეინზეც თავად გაგცეთ პასუხი.

ბლოქჩეინი გახლავთ ყველაზე დაცული და საიმედო მონაცემთა ბაზა.

პირველ რიგში, იგი არის გამჭირვალე, მასში განთავსებული ინფორმაცია საჯაროა და ყველას შეუძლია ნახვა, დეცენტრალიზებულია, რაც უსაფრთხოების გარანტიას გვაძლევს — ანუ, ეს მონაცემთა ბაზა ერთ რომელიმე კონკრეტულ ადგილას არ ინახება, არ დევს სადმე ერთ კონკრეტულ სერვერზე, ერთ კონკრეტულ ქვეყანაში, არამედ ყველა იმ ადამიანთან, რომელიც ბლოქჩეინის მომხმარებელია — შესაბამისად, ბლოქჩეინში ცვლილების შესატანად, ინფორმაციის შესაცვლელად, ყველა მომხმარებლის გვერდი უნდა გატეხონ — რაც შეუძლებელია.

ბლოქჩეინი იდეალური ტექნოლოგიაა სადაზღვევო კომპანიებისთვის, ბიზნესმენებისთვის, ფინანსური კომპანიებისთვის, საჯარო სამსახურებისთვის. გასულ წელს, ამსტერდამში, ჯანდაცვის სფეროში დაიწყეს მისი გამოყენება — ბლოქჩეინის მეშვეობით სამედიცინო სისტემების უსაფრთხოება გაიზრდება და გამარტივდება, მუდმივად და მყისიერად შეუძლია შეინახოს და განაახლოს ჯანდაცვის დიდი მოცულობის ბაზის შენახვა და განახლება.

იგივე შეიძლება ითქვას — განათლების სისტემაზეც — უფრო მეტიც, მე რომ პრემიერ მინისტრი ვიყო — განათლების სისტემით დავიწყებდი, განათლების სამინისტროში დავნერგავდი ამ ტექნოლოგიას — წლევანდელმა ეროვნულმა გამოცდებმა, მგონი, ნათლად დაგვანახა, რომ სერიოზული ცვლილება სჭირდება ამ სამინისტროს ინფორმაციულ ბაზებს.

დღეს არსებული სისტემის მიხედვით, ფულადი ტრანზაქციების განხორციელებისას ადამიანები საჭიროებენ შუამავალს — ბანკს, რომელიც, ზოგჯერ არც ისე სანდოა, ვერც ისე სწრაფი და დიდ საკომისიოს იღებს მომსახურებაში — ბლოქჩეინი კი უსაფრთხო, დეცენტრალიზებული, სწრაფი, ტრანზაქციის სისტემაა, დაბალი საკომისიოთი.

ხოდა, რა თქმა უნდა, ყავს ბლოქჩეინს მტრები და უნდა ჰყავდეს, რატომ უნდა უნდოდათ ბანკებს მისი განვითარება, რაში სჭირდებათ მისი ამოუწურავი შესაძლებლობებით ტკბობა?

ბლოქჩეინში ჩართული სტარტაპები, საკმაოდ დიდ შემოსავალს ნახულობენ — ისინი ანაცვლებენ საბროკერო ფირმებს და პირდაპირ მომხმარებელს აკავშირებენ ერთმანეთთან, რითიც მომხმარებლის დროს და ფულს ზოგავენ და საბროკერო ფირმებს უმუშევრად ტოვებენ.

არც მთავრობებს შეიძლება აწყობდეს ტექნოლოგია, რომელიც იმდენად დაცულია, რომ ხელისუფლების პირველი პირებიც კი ვერ გააკონტროლებენ.

მაგრამ, ტექნოლოგიები ვითარდება, მომავალი მოდის და არ გვეკითხება — ამიტომ, ედინბურგის უნივერსიტეტმა გადაწყვიტა, გახდეს ერთ-ერთი პირველი, ევროპის უნივერსიტეტი, რომელიც წამოიწყებს ბლექჩეინის კურსს.

ამ დროს კი, საქართველო, ეს ღარიბი, უპატრონო ქვეყანა, საქართველო, სადაც ბანკები სულს გვხდიან, საქართველო, სადაც გამჭირვალება ჯერ კიდევ ქაღალდზეა დარჩენილი — მსოფლიოში პიონერი ქვეყანაა, რომელმაც პირველმა დანერგა ინოვაციური ბლოქჩეინ ტექნოლოგია საჯარო სერვისების მიწოდების, კერძოდ კი, მიწის რეგისტრაციის სფეროში — პაპუნა უგრეხელიძის ხელმძღვანელობით.

ახლაც მიკვირს, როგორ მისცეს უფლება, როგორ მისცეს საშუალება ასე უსაფრთხო და გამჭირვალე გაეხადა, საჯარო რეესტრის რიგი სერვისები.

წარმოგიდგენიათ, ადამიანების უმეტესობამ საქართველოში არც კი იცის რა არის ბლოქჩეინი, სტუდენტებმა არ იციან, ეკონომისტებს ვერ გაუგიათ, ჟურნალისტებიც კი ვერ ხვდებიან, რაზე და როგორ უნდა დაწერონ — და ამ ქვეყანაში, ადამიანებმა შესძლეს ის, რაც ევროპის წამყვანმა ქვეყნებმა ვერ მოახერხეს, ამ ქვეყანას ჰყავს ისეთი კადრები, როგორი კადრების მომზადებასაც ევროპის ქვეყნები ახლა ცდილობენ.

ხოდა, რაო პიონერმა ქვეყანამ — დაატრენინგა, ალბათ, სტუდენტები, დაამატა, ალბათ, უნივერსიტეტებში ბლოქჩეინის კურსები, დააწინაურა, ალბათ, პაპუნა უგრეხელიძე, იუსტიციის სამინისტროს სხვა სამსახურებშიც დანერგა, ალბათ, ბლოქჩეინ ტექნოლოგია — არა, ხო?

აზერბაიჯანი ენერგოოპერატორი ბლექჩეინის ტექნოლოგიის გამოყენებას აპირებს და ამ ტექნოლოგიის შესწავლას იწყებს.

ჩვენ რა გვეჩქარება — ჩვენ ისედაც უკვე პიონერები ვართ — გავჩერდეთ, დაველოდოთ, ახლა სხვები დაგვეწიონ, სხვებმა გაგვისწრონ.

არადა, უცხოური მედია წერს და საუბრობს პაპუნა უგრეხელიძეზე, ყვება და აშუქებს საქართველოში საჯარო რეესტრში წარმატებით დანერგილ ახალ ტექნოლოგიაზე. შეიძლება, არც იმ უცხოურმა მედიამ იცის ჩვენზე მეტი, შეიძლება, ოდესმე ევროპამ, ედინბურგის უნივერსიტეტის გამოწვრთნილი კადრებით, იგივე შედეგი მიიღოს, როგორიც ჩვენ უკვე რამდენიმე წელია გვაქვს, მაგრამ — ახლა უკვირთ და გვაკვირდებიან, გვაკვირდებიან და კიდევ უფრო მეტად უკვირთ — როგორ შევძელით, როგორ შეძლო საჯარო რეესტრმა და მისმა ხელმძღვანელმა საქართველოში, ქვეყანაში, სადაც ადამიანების უმეტესობას წარმოდგენაც კი არ აქვს რა არის ბლოქჩეინი, ქვეყანაში, რომელიც გამჭირვალობით და სანდოობით ვერ დაიკვეხნის, ქვეყანაში, სადაც საჯარო მოხელეს, სკამზე ჯდომა და ინტერვიუს ჩაწერაც ჰყოფნის ხელფასის მისაღებად — ახალი და ინოვაციური ტექნოლოგიის ასე წარმატებით დანერგვა.

აღარ ჰქონდა მთავრობას სხვა გზა — კარგიაო, შეაქო საჯარო რეესტრი და მისი ყოფილი ხელმძღვანელი, დაგვპირდა, განვაგრძობთ ამ ტექნოლოგიის დანერგვასო — ვნახოთ. ვნახოთ, როგორ აასრულებენ დაპირებას, ვნახოთ, როგორ გამოიყენებენ მცოდნე ადამიანებს, ვნახოთ — ედინბურგის უნივერსიტეტმა არ დაგვასწროს და ცხვირწინ არ აგვაცალოს პიონერი ქვეყნის სტატუსის შექმნელები.

მანამდე კი, არ შემიძლია არ ვთქვა — ნიჭიერი ხალხი ვართ ქართველები — არ არსებობს საქმე, რომელიც არ გამოგვივა, თუ არ ვიზარმაცებთ და მოვინდომებთ, თუ სულს და გულს ჩავდებთ, მთელ თავისუფალ დროს ჩავდებთ, მთელ ენერგიას შევაზარჯავთ და მაინც გავაკეთებთ, დახმარების გარეშე, ხელის გაწვდის გარეშე.

ნიჭიერი ხალხი ვართ ქართველები — გავაკეთებთ, ვიწვალებთ, ღამეებს გავათევთ, შევქმნით და უპს — მერე გადავულოცავთ სხვებს, აზერბაიჯანს აგერ მაგალითად, ევროპას და თუნდაც ამერიკას — მზა პროდუქტს.

ნიჭიერი ხალხი ვართ ჩვენ — ქართველები, გატანა და ატანა არა გვაქვს ნიჭიერი და მშრომელი ხალხის, დავიბოღმებით და ვანთხევთ გესლს, გესლიც ისე ყველას გვიყვარს — ვსხედვართ და სხვის დანთხეულ გესლს ვაგემოვნებთ და ვავრცელებთ, თან გვიკვირს — სხვაზე ადრე როგორ მოვიფიქრეთ, სხვაზე ადრე როგორ ვერ გავაქიაქეთ.

ნიჭიერი ხალხი ვართ ჩვენ — ქართველები და რა გასაკვირია, რომ მთავრობაც ნიჭიერი გვყავდეს — ინფორმაციულ ტერორიზმზე რომ წამოეგება ნიჭიერად, ისეთი, გამოძიების გარეშე, ჭორის (განა ყველა დაუმტკიცებელი ბრალდება ჭორი არ არის?) გამო, რომ იმ კადრს მისცემს სამსახურიდან წასვლის უფლებას, რომელზედაც, თურმე, მსოფლიო საუბრობს — ნიჭი ხომ უნდა ამ ამბავს?

555 46 08 04

რეზო ამაშუკელი:

მორჩა სპექტაკლი

რობიკოს

მორჩა სპექტაკლი,
შეერია ფრანგულ სუნამოს
ჭორის სურნელი
შურიანი აღფრთოვანებით...
— და ისრუტავენ,
ისრუტავენ იარუსები,
თვითკმაყოფილ და შეშინებულ
ბრიყვულ სახეებს...
როგორც ამბობდა, გენიოსი,
უფსკრულთან მდგარი: —
— „სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული!“
სადღაც წავიდა,
გაქრა ძველი მაყურებელი...
...ჩაქრება ჭაღი,
მოედება სიგრილე პარტერს,
იწყებენ თვლემას სავარძლები,
იძინებს ფარდა...
და
ჭაღი მრავალ სასწაულის
ბრდღვიალა მოწმე
აიხორხლება
გაჭვარტლული სველი ძონძებით —

— შავი, ბებერი ღამურებით,
მოწრიპინე შავი მტევნებით,
წითელი ღინღლით აცქვეტილი
მომცრო ყურებით,
ასი წელი რომ აქ ცხოვრობენ
თეატრის სხვენში,
ღამურები,
ღამურები,
ამ თეატრის მკვიდრი მსტოვრები!..

აჰხსოვთ ღალატი,
დასმენები, ყურში ჩურჩული,
ქირქილი, მარად უნიჭობის
შური და ღვარძლი.
აჰხსოვთ ხანძარი

მოგუგუნე თეატრი ცეცხლში,
აჰხსოვთ თბილისი,
ცრემლიანი ჭირისუფალი...
„ბევრი რამ აჰხსოვთ
ამ შავოსან ინკვიზიტორებს!..

დღეს ამ თეატრში
მათთან ერთად ცხოვრობს მკითხავი,
მეზღაპრე,
მოგვი,
ჯადოქარი,
სულის მძერწავი!..

გადაირბინა გამთენიას
სცენაზე ვირთხამ,
და აშრიალდა, აფართხალდა
გუნდი მთვლემარი: —
— გაშალეს თავის მოლაპლაპე მოსასხამები
და სათათბიროდ მიაშურეს
თავის საბუდარს.

დღეს ამ თეატრში
მათთან ერთად ცხოვრობს მაესტრო,
უკვე ბებერი ქარიშხალი
სულის მძერწავი!

ცხოვრობს და ელის
ღამურების ბოლო განაჩენს!

გარეშემო კი
კვლავ ღაღანებს შხამის მარცვლებით,
შოროშის თესლით
მორწყული და ნაპატივები,
უსამშობლო ტროცკისტების
ბინძური ყანა!

...მორჩა სპექტაკლი,
შეერია ფრანგულ სუნამოს
ჭორის სურნელი
შურიან აღფრთოვანებით...
და ისრუტავენ,
ისრუტავენ იარუსები,
თვითკმაყოფილ და შეშინებულ
ბრიყვულ სახეებს...
— სადღაც წავიდა,
გაქრა ძველი მაყურებელი...
— „სხვა ხალხის ისმის აქ ჟრიამული!“

2018 წ. 18 აგვისტო



მსოფლიო პოლიტიკის პარადოქსები

გუშინდელი მეგობრები ერთმანეთის მტრები გახდნენ, გუშინდელი მტრები მეგობრებად იქცნენ

ტრადიციულად, ზაფხული, კერძოდ, აგვისტო პოლიტიკურად ნაკლ; ებად აქტიურია. ყოველ შემთხვევაში, ასე იყო დღემდე. ამერიკის შეერთებული შტატების მიერ 17 ქვეყნისათვის დაწესებულმა ეკონომიკურმა სანქციებმა მსოფლიოს პოლიტიკოსები და ფინანსისტები საგონებელში ჩააგდო. ექსპერტების ნაწილი შიშობს, შეზღუდვებმა, შესაძლოა, შეიარაღებული კონფლიქტებიც გამოიწვიოს. განსაკუთრებით გამწვავდა ვითარება თურქეთსა და აშშ-ს შირის. ამერიკელი პასტორის დაკავების გამო აშშ-ის ადმინისტრაციამ თურქეთის ორ მინისტრს სანქციები დაუწესა. თურქეთმაც ანალოგიურად უპასუხა. ასეთმა თამამმა ნაბიჯმა გააღიზიანა დონალდ ტრამპი, რომელმაც ფოლადსა და ალუმინზე უკვე გაზრდილი საბაჟო გადასახადი თურქეთის მხარეს გაუორმაგა. სანქციამ თურქეთის ეროვნული ვალუტის ლირის ვარდნა გამოიწვია. აქვე აღსანიშნავია, რომ ლირას გარდა, ევროც დაეცა, რამაც მსოფლიოს ქვეყნების ეროვნულ ვალუტებზეც იქონია გავლენა, სავალუტო და სავაჭრო ბირჟებზე პანიკა გამოიწვია.

ამერიკული ნაწარმის, კერძოდ, აიფონების და მობილური ტელეფონების მასობრივი მტვრევა დაიწყეს, ერთ-ერთმა ტელეწამყვანმა პირდაპირ ეთერში გატეხა თავისი ტელეფონი და გადააგდო... მაღაზიების მფლობელების განცხადებით, ამერიკულ ნაწარმს აღარ შეიტანენ სავაჭრო დაწესებულებებში. ამის გარდა, ვინც გადაცვლის უცხოურ ვალუტას ეროვნულზე, მაღაზიების მფლობელები მნიშვნელოვან შეღავათს უწევენ და ასაჩუქრებენ კიდეც. ეს კი იმის მაუწყებელია, რომ ერდოღანს ხალხის მხარდაჭერა აქვს.

განსაკუთრებულად შემაშფოთებელია ორეშაბათს მომხდარი ინციდენტი. უცნობმა პირებმა ანკარაში აშშ-ის საელჩოს შენობას რამდენიმე ტყვია ესროლეს. მართალია, არავინ დასავებულა, მაგრამ მომხდარი ფაქტია საგანგაშო.

ექსპერტებს აშფოთებთ ნატოს წევრი ორი დიდი ქვეყნის დაპირისპირება. მოკავშირე ქვეყნები მტრად მოეკიდნენ ერთმანეთსო, აცხადებენ. თურქეთში, ინჯირლიკში ნატოს ერთ-ერთი უდიდესი სამხედრო ბაზაა განლაგებული. სანქციებისა და ურთიერთობის გამწვავების ფონზე უკვე ალაპარაკდნენ ბაზის დახურვაზეც. თურქეთის მხარემ 2016 წლის სამხედრო გადატრიალების მცდელობის ამბები გაახსენეს ამერიკელებს. მათი თქმით, სწორედ ამ ბაზიდან აფრინდა საბრძოლო თვითმფრინავს, რომელსაც ერდოღანზე უნდა განეხორციელებინა თავდასხმა, საწვავის უკმარისობის გამო ბაზაზე მოუხდა დაბრუნება. თურქეთი გაღიზიანებულია იმის გამო, რომ მოსალოდნელი საფრთხის შესახებ ნატოს ბაზიდან არ გააფრთხილეს.

თურქეთში რომ ვითარება სერიოზულად დაიძაბა, ყველა აღიარებს. ექსპერტების ნაწილი მიიჩნევს, რომ ნატოს მომავალი შეიძლება იქ გადაწყდეს. ისრაელელი სამხედრო ექსპერტი იაკობ კედმი მიიჩნევს, რომ თურქეთის ნატოში ყოფნა ქვეყნისთვის უაზრო ხდება. აშშ-მა სამხედრო ხარჯებისთვის დაფინანსება საგრძნობლად შეუმცირა, შეიარაღების მიყიდვაზე უარი უთხრეს, დაწესებულმა სანქციებმა საბოლოოდ გაამწვავეს ვითარება. თურქეთის გაღიზიანება ევროკავშირის წევრობაზე კატეგორიულმა უარმაც გააღრმავა. ექსპერტი ღია შეიარაღებულ დაპირისპირებას ამ ეტაპზე გამორიცხავს, მაგრამ მომავალი ჯერ ბურუსით არის მოცულიო, აცხადებს. აშშ-ი აღმაშფოთებლად მიიჩნევს თურქეთსი არსებულ მოვლენებს. თუმცა უკან დახევას არ აპირებენ, პირიქით, იმუქრებიან, თუ თურქეთი არ გაათავისუფლებს ამერიკელ პასტორს, სადამსჯელო სანქციებს კიდევ უფრო გაუმკაცრებენ.

დონალდ ტრამპს ქვეყნის შიგნითაც უხდება მოწინააღმდეგეების მოგერიება. ფრანგული გამოცემა „ფიგაროს“ ინფორმაციით, კონგრესმენების ნაწილი ყოველნაირად ცდილობს, ხელ-ფეხი შეუკრას ტრამპს საერთაშორისო არენაზე. ყველაფერთან ერთად, ივლისში

CNN-მა დიპლომატებზე დაყრდნობით გაავრცელა ინფორმაცია, ჩრდილოეთ კორეა არ აპირებს განიარაღებას და არსებული მარაგის უტილიზაციასო. საამისოდ კორეელები უსაფრთხოების გარანტიებს და სანქციების მოხსნას ითხოვენ. რამდენად მართალია ტელეკომპანიის ინფორმაცია, უცნობია, თუმცა სამხრეთ და ჩრილოეთ კორეის ლიდერების შეხვედრა სექტემბერში დაიგეგმა. წინასწარი ინფორმაციით, სამიტი ჩრდილოეთის დედაქალაქ ფხენიანში შედგება. ამასობაში ჩრდილოელებს უფლება მისცეს, ესტუმრონ ათწლეულობით უნახავ ნათესავებს სამხრეთში, რაც სიხარულით განახორციელეს.

გასული კვირის ერთ-ერთი მთავარი პოლიტიკური მოვლენა ყაზახეთის ქალაქ აქტაუში მიმდინარეობდა. კასპიის ზღვისპირა ქალაქში კასპიის ზღვის სტატუსზე ხელშეკრულება გაფორმდა. აღსანიშნავია, რომ მოლაპარაკებები ხუთ ქვეყანას: ირანის, რუსეთის, ყაზახეთის, აზერბაიჯანსა და თურქმენეთს შორის 1996 წლიდან მიმდინარეობდა, მაგრამ აზრთა სხვადასხვაობის გამო უშედეგოდ. ამჯერად საერთო ენა გამონახეს და ხელშეკრულებაც გაფორმდა. ყაზახეთის პრეზიდენტმა ნურსულთან ნაზარბაევმა ხელშეკრულებას კასპიის ზღვის კონსტიტუცია უწოდა. დასავლეთის პრესამაც მაღალი შეფასება მისცა ხელმოწერილ დოკუმენტს. ერთ-ერთი პუნქტით, სხვა ქვეყნის სამხედრო დანაყოფებს ეკრძალებათ კასპიის ზღვის აკვატორიაში ყოფნა.

შაბათს ერთბაშად ორი ვიზიტი განახორციელა რუსეთის პრეზიდენტმა ვლადიმირ პუტინმა. გერმანიის კანცლერ ანგელა მერკელთან შეხვედრა ბერლინთან ახლოს პატარა სოფელში გაიმართა და თითქმის 4 საათს გაგრძელდა. პუტინის გერმანიაში ჩასვლამდე ანგელა მერკელმა განაცხადა, რომ სამუშაო ვიზიტი იქნებოდა და რაიმე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება მოსალოდნელი არ იყო. როგორც გაირკვა, ქვეყნის მეთაურებმა უკრაინის, სირიის, დევნილების, გაზსადენის მშენებლობაზე ისაუბრეს. მოლაპარაკების ზუსტი თემები უცნობია, რადგან მერკელი და პუტინი პირისპირ, თარჯიმნების გარეშე საუბრობდნენ.

პოლიტოლოგები აღიარებენ, რომ რუსეთსა და გერმანიას ერთმანეთი სჭირდებათ. განსაკუთრებით რთულ ვითარებაში მერკელი იმყოფება. მან არაერთხელ დაიმსახურა ტრამპის კრიტიკა გაზსადენის მშენებლობის გამო. ყოველივეს ემატება მიგრანტების პრობლემა როგორც ქვეყნის შიგნით, ასევე ევროპის რიგ ქვეყნებში. დევნილების საკითხს შემოდგომაზე თურქეთისა და საფრანგეთის პრეზიდენტებთან ერთად განიხილავენ. შეხვედრისთვის სამზადისი უკვე დაიწყო.

გერმანიაში ჩასვლამდე ვლადიმირ პუტინი ავსტრიას არაოფიციალური ვიზიტით სტუმრობდა. რუსეთის პრეზიდენტი ავსტრიის საგარეო საქმეთა მინისტრმა კარენ კნაისენმა საკუთარ ქორწილში პირადად დაპატიჟა. ავსტრიის პოლიტიკოსებმა დიდი მნიშვნელობა მიანიჭეს პუტინის ქორწილში ჩასვლას. თუმცა ქორწილებში პოლიტიკოსები, მით უფრო, ქვეყნის მეთაურები, იშვიათად თუ დადიან. პუტინი ავსტრიაში საპატიო სტუმრის სტატუსით იმყოფებოდა. შეუღლებულების სადღეგრძელო პუტინმა გერმანულად წარმოსთქვა. საჩუქრებიც მიართვა. მათ შორის, სამოვარიც და პატარძალ კარენთან იცეკვა კიდეც... აეროპორტში რუსეთის პრეზიდენტი კანცლერმა სებასტიან კურცმა გააცილა... აღსანიშნავია, რომ რუსეთის მმართველებიდან უცხოეთში ქორწილში ბოლოს იმპერატორი ნიკოლოზ II იყო 1913 წელს გერმანიაში ბიძაშვილის ქორწილში. თუმცა ერთი წლის შემდეგ ორი ქვეყანა ერთმანეთის მტერი გახდა. ვნახოთ, მეორდება თუ არა ისტორიები.

გია ბურდული
551 71 27 07

თამაზ წივწივაძე

თამაზ წივწივაძის გარდაცვალებიდან ორმოცი დღე გავიდა. მისმა უდრეკმა სულმა ზეციურ სასუფეველში დაივანა, მაგრამ... თამაზ წივწივაძე მისი განუმეორებელი შემოქმედებით, რომელიც ათწლეულებს გაუძლებს, მრავალი ადამიანისთვის გაწეული სიკეთით, შეუპოვარი, უკომპრომისო ბრძოლით ღირსეულად განვლილი ცხოვრებით, მუდამ ჩვენს გვერდით იქნება...

...როგორც არასდროს, ისე გვჭირდება შენი მკვახე შეძახილი, შენი ტკბილ-მწარე, სუსხიანი სტრიქონები, შენი ბასრი, დაუნდობელი კალამი, რომელიც ნიღაბს ხდიდა საქართველოს გარეულ თუ შინაურ მტრებს, ააშკარავებდა მათ ნამდვილ სახეს და სამარცხვინო ბოძზე აკრავდა არაკაცების ხროვას.

ქართული მწერლობის ერთ-ერთი ბრწყინვალე კრიტიკოსი და განმჩხრეკელი იყავი, შენი ლიტერატურულ-კრიტიკული წერილები შიშის ზარს სცემდა ქართულ მწერლობაში შემოხეტებულ, მეტისმეტად „გათანგულ“ მოხალისეებს, რომლებსაც ცა ქუდად არ მიაჩნდათ და დედამიწა ქალამნად. დეტალურად, გამოწვლილვით იკვლევდი მათ აბდაუბდას, წინ დაულაგებდი ხოლმე გათანგულებს მათ ნაწარმოებებში „გაპარულ“ კურიოზებს, იაღლიშებს, შეცდომებსა თუ უვიცობით, უცოდინრობით გამოწვეულ სრულ გაუგებრობებს და წერის ხალისს უკარგავდი წერასატანილებს. რატომ? ალბათ, იმიტომ, რომ შემდგომში სხვები მირიადჯერ დაფიქრებულიყვნენ თითოეულ სტრიქონზე, თითოეულ ოპუსზე, სანამ მკითხველთა სამსჯავროზე გამოიტანდნენ საკუთარ ნააზრევს. რამდენი მტერი გაიჩინე, თამაზ-ბატონო. ამ ხნის განმავლობაში, მაგრამ შეუვალი იყავი, მტკიცე და უკომპრომისო, რადგან შენს ზურგს უკან ათასხუთასწლოვანი მწერლობა იდგა, დიდი, უმშვენიერესი, უბრწყინვალესი მწერლობა, რომლის ღირსების დაცვა შენთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანი იყო. რა დაგიმალო და ამ ბრძოლებში ერთი-ორი კარგი მწერალიც „შემოგეხარჯა,“ თუმცა იქაც მართალი იყავი საკუთარ თავთან და, რაც მთავარია, ქართულ მწერლობასთანაც.

ზაალ ბოტკოველი



●

ძმაო თამაზ,

ნახევარმა საქართველომ დაგიტირა-მეთქი, რომ აღვნიშნე, ახლა, ამ წერილის ბოლოში, გადაჭარბებულად მეჩვენება. არა ნახევარმა საქართველომ, არამედ რჩეულმა უმცირესობამ დაგაფასა და რჩეულმა უმცირესობამ გაგაცილა. „ვაი იმ ქვეყანას, რომელსაც არა ჰყავს „რჩეული უმცირესობა“ (ხოსე ორტეგა ი გასეტი). მოაზროვნე უმცირესობის ქომაგი იყავი მთელი ცხოვრება. შეგეძლო, უმრავლესობის „სიკეთით“ გესარგებლა, მაგრამ არ ინებე.

მურმან ჯგუბურია

„ჩაფიქრებულა მთაწმინდა“

თამაზ წივწივაძეს

თვალს გაახელენ იები,
ავდარს შეცვლიან დარები,
ატმებიც დაიფიფქება...
სადაც შენ დაიკრძალები,
ყველგან მთაწმინდა იქნება!

ვაჟა ეგრისელი

●

როცა თამაზ წივწივაძის წერილებს კითხულობთ, მისი ნაკითხობა და სიღრმისეული ანალიზის დონე გაოცებთ ფანტასტიკურ ენამახვილობასთან ერთად. სულ მიკვირდა, როდის ასწრებდა ამდენის კითხვას, გააზრებას და მერე საჭირო დროს გახსენებას. ისეთ ლიტერატურულ, ფილოსოფიურ თუ ყოფით პარალელებს დაძებნიდა, გაოცებული დარჩებოდი — ასეთ დროს ეს რამ გაახსენა ან ასეთი ლოგიკური კავშირი როგორ გამოძებნა, თანაც ასეთ სატირულ-იუმორისტულ სტილშიო.

მანანა ჩიტიშვილი

●

იშვიათად მინახავს კაცი, თან ჭკუა ეკითხებოდეს და თან კაცურად ომში წამოგყვეს და წაიყვანებოდეს! შენ ასეთი იყავი...

ამ ათი თუ თხუთმეტი წლის წინათ, სუფრაზე მარტონი დავრჩით და ნელ-ნელა შემოგაპარე, მოვნახოთ ვინმე კარგი გოგო და მოიყვანე ცოლად- მეთქი.

- ახლა კიდევ, ახალი დარდი მომიმატეო, — მიპასუხე.

— შენი დისა და ძმების, მათი შვილების პატრონს რა გაქვს სადარდებელი-მეთქი, არ მოგეშვი.

- საქართველოო... — თქვი წყნარად, ყოველგვარი პათოსის გარეშე.

ახლა რომ ვუკვირდები, მართლა რა ერთგულებითა და თავდადებით ემსახურე შენს სამშობლოს!

არ დარჩენილა ამ ქვეყნის არც ერთი პირველი პირი, სხვებზე რომ არაფერი ვთქვათ, შენს ქარ-ცეცხლში რომ არ გაევლო.

დიდად არასდროს დაგვჭირვებია და გვისარგებლია ერთმანეთით, მაგრამ ახლა, როცა მეორე ნაპირზე ხარ, ძალიან დამაკლდი...

ისეთი შეგრძნება მაქვს, თითქოს რაღაც იმედი, საყრდენი გამომაცალეს...

შენზე უკეთ კი ვინ იცის, როგორია ცხოვრება იმედის გარეშე...

გოგი ხარაბაძე

●

პარადოქსულია ჩვენი ცხოვრება. ჩვენი თამაზის მოსაგონარ წერილს დავსტრიალებ ეროვნულ ბიბლიოთეკაში. დიდი შეხლა-შემოხლა გაიმართა ამ ბიბლიოთეკის სახელდების გამო წლების წინათ — სწორედ წივწივაძის ძალისხმევით გახდება იგი ილია ჭავჭავაძის სახელობისა, რესპუბლიკელი ლევან ბერძენიშვილი, რომელიც პოეტებად არ ცნობდა ილიას და აკაკის, და ეს პოლიტიკოს-ჰომეროლოგი აიძულა ილია მართლის თაღქვეშ უნებურად თავი დაეხარა იმ შენობაში მომეტებული სიარულისას.

გური ოტობაია

●

„სამშობლოს მტრებისა და რენეგატების წინააღმდეგ ბრძოლა ღვთიური საქმეა. შენ ქართული ტრადიციული პუბლიცისტიკის ჭეშმარიტი გამგრძელებელი ხარ. ხშირად მითქვამს, ილიაც დაუნდობელი იყო და შესაძლოა, ხშირად არისტოკრატისთვის შეუფერებელი ფრაზებით უმასპინძლდებოდა ზოგიერთ მომხდურს, მაგრამ გულწრფელად ნათქვამი ყოველი სიტყვა არა მხოლოდ ხასიათის გამოვლინებაა, არამედ მებრძოლი კაცის ნებაც.

ნინო ქუთათელაძე

●

დრო ყველას და ყველაფერს თავის ადგილს მიუჩენს.

თამაზ წივწივაძის კრიტიკული და მხატვრული აზროვნება, ერისა და ქვეყნის უანგარო სიყვარული და ქომაგობა კეთილ მაგალითად დარჩება მომავალ თაობებს.

ნათელი დაადგეს მის სულს. ამინ!“

ზურაბ თორია

●

როგორი პუბლიცისტი იყო თამაზ წივწივაძე, როგორი ლიტერატორი და როგორი რედაქტორი, მკითხველმა შესანიშნავად იცის, მაგრამ შეიძლება ბევრმა არ იცის, როგორი ადამიანი იყო იგი.

ვინც მას მხოლოდ მისი ნაწერებით იცნობდა, შეიძლება არც დამიჯეროს, რომ თამაზი უაღრესად თავმდაბალი, მოკრძალებული და მორიდებული პიროვნება გახლდათ, რომელსაც ყველას ჭირვარამი გულთან ახლოს მიჰქონდა, ყველას გვერდით ედგა და ყველას ეხმარებოდა, რითაც შეეძლო.

ნაცნობ-მეგობრებს და ახლობლებს კი არა, სრულიად უცნობ ადამიანს რომ ეთხოვა რამე, არ დაიზარებდა, ათასგან დარეკავდა, ათას ვინმეს შეაწუხებდა და საქმეს ბოლომდე მიიყვანდა.

90-იან წლებში, როცა ქართულ მწერლობას ძალიან გაუჭირდა, სწორედ თამაზ წივწივაძის ინიციატივით დაარსდა ფონდი, რომელმაც ბევრი მწერალი იხსნა შიმშილით სიკვდილისაგან.

შემდეგშიც ასე იყო — სიცოცხლის ბოლომდე ბევრი „პირადი“ „სტიპენდიანტი“ ჰყავდა, რომელსაც საკუთარი ჯიბიდან უხდიდა „სტიპენდიას“.

ყველაფერი ეს კი ჩუმად და უხმაუროდ, მოკრძალებით და მორიდებით კეთდებოდა.

სიკვდილშიც მორიდებული და მოკრძალებული კაცი აღმოჩნდა თამაზი. მხოლოდ მისმა ახლობლებმა იცოდნენ, ძალიან ცუდად რომ იყო, არ უწუწუნია, არავინ შუწუხებია — ჩუმად გამოაღო კარი და წავიდა.

ღმერთმა ნათელში ამყოფოს მისი სული.

ვახტანგ ხარჩილავა

●

ამ მძიმე დღეებში ბევრი ითქვა — სხვათა გასაჭირის როგორი თბილი მიღება და იმავდროული როგორი პასი იცოდი!..

ეს იმ ურიცხვთა პატიოსან ნაწილს მაინც ეხსომება, ვინც გაუსაძლისი პრობლემებით გაფუტუროებულ ქვეყანაში ცხოვრობდა, ცხოვრობს და ვისაც შეჭირვების ჟამს შენს გულისკარზე დაუკაკუნებია“.

ვანო ჩხიკვაძე

●

„ერთმა ღმერთმა უწყის, ვისთვის როდის დამთავრდება „ეპოქა დიდი“. თამაზ წივწივაძე თვითონ იყო ეპოქა, ეპოქა სიკეთისა და კეთილშობილების. ერთადერთი სიტყვით რომ შეიძლებოდეს პიროვნების დახასიათება, თამაზ წივწივაძის შესატყვისია — მოყვასი. პეტრეპავლობის წმიდა დღეს დაემთხვა მისი ამქვეყნიდან განსვლა და მარადიულობასთან ზიარება. ჩვენთვის კი, მისი ამ-წუთისოფლიური მეგობრებისთვის, დრო და მანძილია საჭირო, მით უმეტეს დღეს, მისი პიროვნება-ქანდაკის სრულად გასააზრებლად.

ზაურ კალანდია, თემურ შავლაძე, ზურაბ თორია, ვაჟა ჩორდელი

ქართველი და იტალიელი ახალგაზრდების გაცვლითი პროგრამა ბაკურიანში

ახალგაზრდული არასამთავრობო ორგანიზაცია „Bridge to the Future“-მ 7-14 აგვისტოს დაბა ბაკურიანში Erasmus+ ეგიდით უმასპინძლა საერთაშორისო ახალგაზრდულ გაცვლით პროგრამას – „Youth Paths for Inclusive Europe“, Erasmus+ ფარგლებში. Erasmus+ პროგრამის მიზანია განათლების მოდერნიზება, არაფორმალური განათლების პოპულარიზაცია და ახალგაზრდებისა და ახალგაზრდებთან მომუშავე პროფესიონალების ცოდნისა და დასაქმების ხარისხის ამაღლება ტრენინგების, სემინარების და გაცვლითი პროგრამების საშუალებით.

საერთაშორისო გაცვლით პროგრამაში - „Youth Paths for Inclusive Europe“ მონაწილეობა მიიღო 18-დან 25 წლამდე 20 ახალგაზრდამ საქართველოდან და იტალიიდან.

„Bridge to the Future“ 2012 წლიდან მოხალისეობრივ საფუძვლებზე აქტიურად ახორციელებს სხვადასხვა საერთაშორისო ღონისძიებებს ევროკავშირის ფარგლებში, მათ შორის: გაცვლით პროგრამებსა და ტრენინგებს.

საერთაშორიო გაცვლით პროგრამაში – „Youth Paths for Inclusive Europe“ მონაწილე ქართველი ახალგაზრდები სხვადასხვა რეგიონებიდან არიან შერჩეულები; მათი გარკვეული ნაწილი გახლავთ იძულებით გადაადგილებული და ხელმოკლე ოჯახებიდან. საერთაშორისო ახალგაზრდული გაცვლითი პროექტის ფარგლებში ახალგაზრდებს საშუალება მიეცათ ემსჯელათ აღნიშნულ ქვეყნებში არსებულ ისეთ პრობლემურ საკითხებსა და გამოწვევებზე, როგორებიცაა: სტერეოტიპები, ადამიანის უფლებები, ცრურწმენები, მარგინალიზაცია, რაც თავის მხრივ, ახალგაზრდების საზოგადოებაში სრულფასოვანი ინტეგრაციის ხელისშემშლელ მიზეზს წარმოადგენს და გვევლინება დისკრიმინაციის კატალიზატორად. პროექტის მთავარი მიზანია ინტეკულტურული დიალოგისა და აქტიური სამოქალაქო ჩართულობის პოპულარიზაცია ეროვნული ტრადიციების, კულტურისა და ღირებულებების გაცვლით, არსებული სტერეოტიპებისა და ბარიერების გადალახვა და კრიტიკული აზროვნების განვითარება ახალგაზრდებისათვის.

„ამგვარი პროექტების საქართველოში განხორციელება განსაკუთრებით მნიშვნელოვანია ადგილობრივი ახალგაზრდებისათვის, ვინაიდან არა მარტო პროექტის მონაწილეებს, არამედ ფართო საზოგადოებას საუკეთესო საშუალება ეძლევათ მიიღონ ინფორმაცია - erasmus+ პროგრამისა მის ფარგლებში არსებული შესაძლებლობების შესახებ, გარდა ამისა, იგი ხელს უწყობს არაფორმალური განათლების პოპულარიზაციას საქართველოში, ტრანსნაციონალური პარტნიორული ურთიერთობების განვითარებას საგანმანათლებლო კუთხით, კულტურთაშორის დიალოგს, ახალგაზრდების ევროინტეგრაციულ პროცესებში აქტიურ ჩართულობას, მათი ლიდერული და ორგანიზატორული უნარ-ჩვევების განვითარებას, ახალგაზრდების აქტიურ სამოქალაქო ჩართულობასა და განათლების სფეროსა და შრომის ბაზარს შორის დამაკავშირებელი ხიდის ჩამოყალიბებას“ - აცხადებს “Bridge to the Future”-ს ხელმძღვანელი და პროექტის ორგანიზატორი **მაკა ზაუტაშვილი**.

აღნიშნული გაცვლითი პროგრამის ფარგლებში მონაწილე ახალგაზრდებს საშუალება ქონდათ უკეთ გაეცნოთ ქართული კულტურა, ტრადიციები და მოენახულებინათ სხვადასხვა ღირსშესანიშნავი ადგილები; გარდა ამისა, მონაწილები უკეთ გაეცნენ ისეთ საკითხებს, როგორიცაა: ადამიანის უფლებები, საქართველო და ევრო-ინტეგრაცია, ევროპული კულტურა და ღირებულებები. ახალგაზრდების სამოქალაქო ჩართულობა, რეგიონში არსებული პრობლემები და პერსპექტივები.

„მოხარული ვარ, რომ მქონდა შანსი მონაწილეობა მიმეღო პროექტში: “Youth Paths for Inclusive Europe” როგორც იტალიური დელეგაციის ხელმძღვანელს, რაც პირადად ჩემთვის არაჩვეულებრივი გამოცდილებაა. მივიღე მეტი ინფორმაცია არა მარტო საქართველოს, მისი კულტურის, ტრადიციების, ისტორიის, სამზარეულოს, ენისა და ადათ-წესების შესახებ, არამედ დავრწმუნდი იმაში, რომ შესაძლებელია სამყაროს შეცვლა პოზიტიურად თუკი ერთობლივი ძალებით შევეცდებით და გადავდგამთ კონკრეტულ ნაბიჯებს საამისოდ. მსურს მადლობა გადავუხადო “Bridge to the Future”-ს მასპინძლობისა და ასეტი მნიშვნელოვანი პროექტის განხორციელებისატვის“ განაცხადა იტალიური პარტნიორი ორგანიზაციის – Comitato d’intensa-ს წარმომადგენელმა - **სტეფანო დალ ფარამ**.

პროგრამის ფარგლებში დაგეგმილმა აქტივობებმა, მათ შორის ინტერკულტურულმა ღღეებმა, სიმულაციურმა თამაშებმა, დისკუსიებმა და სხვ; საფუძველი ჩაუყაროს უცხოელ თანატოლებთან მეგობრობასა და თანამშრომლობას. ახალგაზრდებმა მეტი ინფორმაცია მიიღეს არაფორმალური განათლებისა და Erazmus+ პროგრამისა და მისი მნიშვნელობის შესახებ.

„საერთო გაზეთის“ იურიდიული კონსულტაცია

„საერთო გაზეთის“ მკითხველთა შეკითხვებს პასუხობს გაზეთის იურიდიული კონსულტანტი, ადვოკატი

მთვარისა კევლიშვილი.
ტელ.: 2 79 63 91; 0 790 60 64 69; 5 93 78 64 69

* * *

- რას ნიშნავს ქმედუნარიანობა სამოქალაქო სამართლის მიხედვით?

- თქვენთვის საინტერესო საკითხს მოიცავს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის მე-12-15 მუხლები, რომელთა შინაარსსაც სრულყოფილი ინფორმაციის მისაღებად წარმოგიდგენთ მთლიანად:

მუხლი 12. ქმედუნარიანობა

1. ქმედუნარიანობა, ანუ ფიზიკური პირის უნარი, თავისი ნებითა და მოქმედებით სრული მოცულობით შეიძინოს და განახორციელოს სამოქალაქო უფლებები და მოვალეობები, წარმოიშობა სრულწლოვანების მიღწევისთანავე.

2. სრულწლოვანია პირი, რომელმაც 18 წლის ასაკს მიაღწია.

3. ქმედუნარიანად ითვლება პირი, რომელმაც 18 წლის ასაკის მიღწევამდე იქორწინა.

4. ქმედუნარიანად ითვლება ფსიქოსოციალური საჭიროების მქონე პირი (შემდგომ - მხარდაჭერის მიმღები), ანუ პირი, რომელსაც აქვს მყარი ფსიქიკური, გონებრივი/ინტელექტუალური დარღვევები, რომელთა სხვადასხვა დაბრკოლებასთან ურთიერთქმედებამ შესაძლოა ხელი შეუშალოს საზოგადოებრივ ცხოვრებაში მის სრულ და ეფექტიან მონაწილეობას სხვებთან თანაბარ პირობებში, თუ ეს პირი აკმაყოფილებს ამ მუხლის მე-2 ან მე-3 ნაწილის პირობებს, ამასთანავე, აღნიშნული დაბრკოლებები სათანადო რჩევისა და დახმარების გარეშე მნიშვნელოვნად ართულებს პირის მიერ საკუთარი ნების თავისუფლად გამოხატვას და ინფორმირებული და გააზრებული არჩევანის გაკეთებას სასამართლოს მიერ განსაზღვრულ სფეროში.

5. მხარდაჭერის მიმღებად სასამართლომ შეიძლება ცნოს აგრეთვე არასრულწლოვანი იმ ფარგლებში, რომლებშიც, საქართველოს კანონმდებლობის თანახმად, მას თავისი უფლება-მოვალეობების განხორციელებისას კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა არ სჭირდება.

6. 7 წლამდე ასაკის არასრულწლოვანი (მცირეწლოვანი) ქმედუუნაროდ ითვლება.

მუხლი 13. ქმედუნარიანობის შეზღუდვის დაუშვებლობა გარიგებით

ქმედუნარიანობის შეზღუდვა დაიშვება მხოლოდ კანონით გათვალისწინებულ შემთხვევებში. დაუშვებელია ქმედუნარიანობის შეზღუდვა გარიგებით.

მუხლი 14. შეზღუდული ქმედუნარიანობა

1. არასრულწლოვანი შვიდიდან თვრამეტ წლამდე შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონეა.

2. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონედ ითვლება ასევე სრულწლოვანი, რომელსაც სასამართლომ დაუწესა მხრუნველობა. შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი თავის ქმედუნარიანობაში უთანაბრდება არასრულწლოვანს.

3. ქმედუნარიანობის შეზღუდვა უქმდება მაშინ, როცა აღარ არის ის საფუძველი, რომლის გამოც პირს შეეზღუდა ქმედუნარიანობა.

მუხლი 15. წარმომადგენლის თანხმობა შეზღუდული ქმედუნარიანობისას

შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირის ნების გამოვლენის ნამდვილობისათვის აუცილებელია მისი კანონიერი წარმომადგენლის თანხმობა, გარდა იმ შემთხვევებისა, როდესაც შეზღუდული ქმედუნარიანობის მქონე პირი გარიგებით იღებს სარგებელს.

მუხლი 16. ქმედუნარიანობის შეზღუდვა ალკოჰოლის ან ნარკოტიკული ნივთიერებების გამოყენების გამო

1. სასამართლოს მიერ მზრუნველობა შეიძლება დაუწესდეს სრულწლოვან პირს, რომელიც ბოროტად იყენებს ალკოჰოლს ან ნარკოტიკულ ნივთიერებებს და ამის გამო თავის ოჯახს მძიმე მატერიალურ მდგომარეობაში აყენებს. იგი უფლებამოსილია დადოს ქონების განკარგვის გარიგება, აგრეთვე განკარგოს ხელფასი, პენსია ან სხვა სახის შემოსავალი მხოლოდ მზრუნველის თანხმობით, გარდა წვრილმანი ყოფითი გარიგებების დადებისა.

2. ქმედუნარიანობის სრულად აღდგენა იწვევს მზრუნველობის გაუქმებას.

* * *

- ჩემი არასრულწლოვანი შვილიშვილი უნდა გავატანო ახლობელს თურქეთის რესპუბლიკაში თავის მშობლებთან. რა საბუთები დაგვჭირდება?

- თქვენს არასრულწლოვან შვილიშვილს პირველ რიგში უნდა აუღოთ ბიომეტრიული პასპორტი. ამისათვის საჭიროა მისი ორივე მშობლის თანხმობა. მათ ეს თანხმობა უნდა განაცხადონ ნოტარიუსთან სკაიპის საშუალებით. ეს თანხმობა თარგმნილ უნდა იყოს თურქულ ან ინგლისურ ენებზე. თარგმანი უნდა დადასტურდეს, ასევე, სანოტარო წესით. მშობლებმა, ასევე, თანხმობა უნდა განაცხადონ იმის შესახებ, რომ თქვენი არასრულწლოვანი შვილიშვილის თურქეთში წაყვანას და / თუ საჭიროა, წამოყვანასაც/ ანდობენ ამ ახლობელს. ეს თანხმობაც სკაიპითა სანოტარო დადასტურებით კეთდება. აღნიშნულიდან გამომდინარე, მიხვდით ალბათ; თქვენი შვილიშვილის თურქეთში გასაგზავნად გჭირდებათ პასპორტი და მშობლების თანხმობები.

საერთო გაზეთი
მთავარი რედაქტორი: ვახტანგ ხარჩილავა

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ შპს „ელვა-ჯი“-ს მეშვეობით
+995 32 238 26 73; +995 32 238 26 74

იბეჭდება შპს „ასავალ-დასავალის“ სტამბაში.
აგლაძის 39. E-mail: asavaliprint@yahoo.com

ISSN 2233-3983